შირაქი

№47 (10.052)
17–24 დეკემბერი 2022
ყოველკვირეული გამოცემა
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
ფასი: 60 თეთრი

დედოფლისწყაროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვას საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა და მას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ. ბიუჯეტის პროექტის განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას საკრებულო კენჭს 20 დეკემბრის სხდომაზე უყრის.

2023 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი 11 085 000 ლარითაა განსაზღვრული.

ბიუჯეტის პროექტის ძირითად მიმართულებებზე საკრებულოს თავმჯდომარემ ისაუბრა და დაწვრილებით მიმოიხილა სხვადასხვა სფეროსთვის გათვალისწინებული წლიური დაფინანსების დეტალები. მანვე პროექტი მოიწონა და აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ პროექტი სწორადაა შედგენილი, ყველა მიმართულებით არის დაფინანსების გარკვეული ზრდა.

მერმა აღნიშნა, რომ წინასწარ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტშიც და ზოგადად, წლის დასაწყისშიც ბიუჯეტი იგეგმება დაახლოებით 12 მილიონი ლარით, ხოლო წლის ბოლოს ბიუჯეტი 20 მილიონს აღწევს. ნიკოლოზ ჯანიაშვილის განმარტებით, წლის განმავლობაში ბიუჯეტი ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯზე სხვადასხვა ფონდების დაფინანსებით იზრდება. ამიტომაც რამდენიმე მილიონიანი სოლიდური დაფინანსება ძირითადად ინფრასტრუქტურას ხმარდება, სხვა სფეროებზე კი წინასწარ დაგეგმილი ბიუჯეტი ძირითადად პროგნოზის მიხედვით იხარჯება და სერიოზულ ცვლილებებს არ იწვევს.

საკრებულოს თავმჯდომარემ შესაბამის კომისიას სთხოვა, საკუთარი შეფასება დაეფიქსირებინა მერიის მიერ წარმოდგენილ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მამუკა სეფიაშვილი აღნიშნავდა, რომ კომისია იცნობს პროექტს და მათი შეფასებით, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მომავალი წლის ბიუჯეტი კარგადაა დაგეგმილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ფინანსთა სამინისტროში უკვე გაიგზავნა. ჯანიაშვილი იქვე ხაზს უსვამს, რომ ბიუჯეტის სწორად დაგეგმარების გამო დედოფლისწყაროს მერია ფინანსთა სამინისტროსგან ზედიზედ ბოლო წლებში ფულად ჯილდოს იღებს. მას იმედი აქვს, რომ ამჯერადაც ქვეყნის მასშტაბით დედოფლისწყაროს მერიის საფინანსო სამსახური ერთ-ერთი საუკეთესო იქნება და ფულად ჯილდოს მიიღებს.

დაფინანსების ზრდასთან ერთად განიხილეს ცალკეული სამსახურების მუშაობის ეფექტურობა და არსებული ხარვეზებიც. ითქვა, რომ გათვალისწინებულია სპორტის ცენტრისთვის ახალი მიკროავტობუსის შეძენისთვის საჭირო თანხები. ამორტიზებული მიკროავტობუსის გამო სპორტსმენებს სხვადასხვა ტურნირებზე გასამგზავრებლად ხელი ეშლებოდათ. ამჯერად კი, მათ ახალი ტრანსპორტი ექნებათ. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის უფროსმა აკაკი ნატროშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა უწყებას, ვინც მათი საჭიროება გაითვალისწინა და საბიუჯეტო სახსრები გამონახა. საკრებულოს თავმჯდომარემ შენიშვნა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სურს ახალგაზრდობის სამსახური კიდევ უფრო გააქტიურდეს და დეპუტატებსაც მიეცეთ მათი მუშაობის გაცნობის შესაძლებლობა.

აღინიშნა, რომ ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური დაფინანსება აქვს საბავშვო ბაღების გაერთიანებას, ამიტომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების განმარტებით, დიდ დაფინანსებას კონტროლიც შესაბამისი მოჰყვება. მერმა აღნიშნა, რომ ბაღების ხელმძღვანელებმა ვირუსების დროს შემცირებული კონტინგენტის გამო ჯგუფებიც შესაბამისად დააკომპლექტონ.

ხაზი გაესვა იმასაც, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დარბაზების და თაროების არარსებობის გამო ვერ ახერხებს ფონდში დაცული უნიკალური ექსპონატების სრულად გამოფენას და შენობა თანამედროვე სტანდარტებს ვერ უზრუნველყოფს. მერი ფიქრობს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში რაიმე ფონდების, ან დონორების დაფინანსების მოძიება შეძლონ, რითიც შენობის კეთილმოწყობა და დამთვალიერებლისთვის საჭირო პირობების შემნა მოხერხდება. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტი ფიქრობს იმაზეც, რომ მუზეუმში ტურისტებისთვის გადასახადი დაწესდეს, რადგან ექსპონატების დათვალიერება უფასო არსად აღარ არის, დედოფლისწყაროში კი გადასახადს ისევ არ იხდიან. აქვე განიმარტა ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეები და ბავშვები შეღავათებით ისარგებლებენ. გაცილებით მაღალი გადასახადი იქნება უცხოეთის მოქალაქეთათვის. აღინიშნა ისიც, რომ მუზეუმის შენობის სახურავიც რთულ მდგომარეობაშია და ნალექის დროს წყალი ჩადის. თუმცა, მერს მიაჩნია, რომ სახურავის გამოცვლა იქ არსებულ პრობლემებს ვერ აღმოფხვრის, მხოლოდ ნალექის დინებას შეაჩერებს, სხვა პრობლემები კი დარჩება. ამიტომ, საჭიროა მუნიციპალიტეტმა შენობის ძირეულ მოდერნიზებაზე იფიქროს.

ილია მარტყოფლიშვილი

გიწვევთ საახალწლო ღონისძიებებზე

24 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით სადღესასწაულო ღონისძიებები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართება. კონკრეტულად, დედოფლისწყაროში კი, საახალწლო ღონისძიებები 30 დეკემბერს კულტურის სახლის ეზოში, ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან ჩატარდება:

14:00-სთ — ორკესტრის მსვლელობა;

14:00-20:00-სთ — საშობაო ბაზრობა: ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გლინტვეინი, ნუგბარი, ცხელი შოკოლადი;

14:30-18:00-სთ — საბავშვო სივრცე: სახალისო თამაშები, აზოტის შოუ, მარიონეტების შოუ, ჯაზბენდი;

14:00-15:00-სთ — ბავშვების შეხვედრა თოვლის პაპასთან;

17:00-17:30-სთ — ადგილობრივი შემსრულებლების საბავშვო კონცერტი;

17:30-18:30-სთ — ბენდი „ურსა“

18:30-სთ — საზეიმო ფოიერვერკი.

რას ვყიდულობთ ზეთის სახელწოდებით?

ყველასთვის ცნობილია, რომ პროდუქტის ყიდვისას მარტო ეტიკეტის ნდობა არ ღირს. მცენარეული ზეთების ეტიკეტებზე უამრავ ლამაზ სიტყვას ამოიკითხავთ. სამწუხაროდ, ამ სიტყვებში რეკლამის მეტი არაფერია. როგორ უნდა გავარკვიოთ, რამდენად ახალი, ჯანსაღი და სასარგებლოა ესა თუ ის ზეთი. ყიდვისას ამაზე არც ვფიქრობთ, რადგან ყველა ზეთი ერთმანეთს ჰგავს. არადა, ზეთი იმდენად ხშირად მოხმარებადია პროდუქტია, რომ მასზე ძალიან არის დამოკიდებული ოჯახის ჯანმრთელობა. ყველაზე ხშირად ძვირად ღირებულ ზეთებს აყალბებენ, მაგალითად, ზეითუნისას, ნიგვზისას, ყურძნის წიპწებისას... ამ ზეთებს დაბალხარისხიანი ზეთებით აზავებენ. როგორ გავარჩიოთ ხარისხიანი ზეთი უსარგებლოსგან?

რაფინირებული ზეთი – კარგია თუ ცუდი?

რაფინირებული ნიშნავს, რომ ზეთი ფიზიკურ-ქიმიურადაა დამუშავებული. ამის შემდეგ ზეთი უფრი ღია ფერის, უსუნო ხდება და მისი შენახვა ხანგრძლივი ვადით არის შესაძლებელი. მას სასარგებლო თვისებებიდან თითქმის აღარაფერი აქვს შემორჩენილი, აღარც ვიტამინები. ანუ მავნე არ არის, მაგრამ არც სასარგებლოა. ამიტომ დააკვირდით ეტიკეტს და აირჩიეთ ზეთი, რომელიც არარაფინირებულია. თან „ცივი დაწნეხვის წესით“ არის მიღებული. ამ წესით დამზადებული ყველა ზეთი სასარგებლოა.

ძვირი და იშვიათი ზეთი

ძვირი რომ ღირს, სულაც არ ნიშნავს, რომ თან სასარგებლოა. ამ დროს მარტო ეტიკეტის ნდობა არ ღირს. საკითხავია, ეს კომპანია თავად აწარმოებს პროდუქტს? საიდან შემოაქვს ნედლეული და როგორი ხარისხისაა იგი. შესაძლოა სულაც გაზავებული იყოს. ამიტომ დაუფიქრებლად ნუ შეიძენთ ძვირფას ზეთს.

ზეთი კონსერვანტებისა და საღებავების გარეშე

ეტიკეტზე თუ არ აწერია, რომ კონსერვანტებს არ შეიცავს, არა უშავს, ზეთში ისინი მაინც არ იქნება. ეს მწარმოებლის დამსახურება სულაც არ არის. მცენარეული ზეთი ისეთი პროდუქტია, რომ მასში ხელოვნური საღებავის ან კონსერვანტის შერევა თითქმის შეუძლებელია. შესანახად ყველაზე კარგია მუქი მინის ბოთლი. რასაც არ უნდა გპირდებოდეთ ეტიკეტი, არარაფინირებული ზეთი 2 თვის განმავლობაში ძლებს, რაფინირებული - 4 თვის განმავლობაში.

სად არის ვიტამინები?

ბუნებრივი ვიტამინებისა და მიკროელემენტების მაქსიმალური შემადგენლობა მხოლოდ არარაფინირებულ ზეთშია, რომელიც ცივი დაწნეხვის წესით არის მიღებული. რაფინირებულ ზეთში კი ყველა ვიტამინი, რაც ეტიკეტზე წერია, სინთეზური წარმოშობისაა. მათ გადამუშავებულ ზეთში შემდეგ უმატებენ.

გენმოდიფიცირებული დანამატების გარეშე

ზეთში გენმოდიფიცირებული ორგანიზმები მთავარი ნედლეულიდან ხვდება - სოიოდან, სიმინდიდან. სამწუხაროდ, ზეთში ამ ორგანიზმების აღმოჩენა ლაბორატორიული შემოწმებითაც ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში, ისღა დაგრჩენიათ, რეკლამას ენდოთ, თუ გიმტკიცებენ, რომ ზეთში გენმოდიფიცირებული ორგანიზმები არ არის.

ქოლესტერინი – როგორც სარეკლამო სვლა

მცენარეულ ზეთში ქოლესტერინი ისედაც არ არის. ამიტომ მისი ხსენება მხოლოდ სარეკლამო სვლაა. ანუ ზეთს 2 მთავარი უპირატესობა ყველა შემთხვევაში აქვს - არ შეიცავს კონსერვანტებს და ქოლესტერინს.

სხვადასხვა კვლევით დადგინდა, რომ ცივი დაწურვის ზეითუნის ზეთი ყველაზე უსაფრთხოა ღვიძლისთვის, ხოლო მზესუმზირის ზეთი და თევზის ქონი ღვიძლის ზეთი და თევზის ქონი ღვიძლის უჯრედებს არღვევენ. გრანადის უნივერსიტეტის ფიზიოლოგი — ხოსე მორალესი — გვიხსნის: „მზესუმზირის ზეთისა და თევზის ქონის ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ღვიძლის სერიოზულ დაავადებას, რომელიც ციროზსა და ღვიძლის კიბოში გადადის.“ მეცნიერების სხვა ჯგუფმა აღმოაჩინა ყველაზე საშიში ნივთიერება — ბენზოპირენი, რომელიც შედის მზესუმზირას მარცვლებში. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მარცვლებში, რომლებიც მთელი წელი ინახებოდა, ბენზოპირენის კონცენტრაცია ისეთ სიდიდეს აღწევს, რომ არანაირი რაფინირება და დეზოდორაცია ვერ შველის მას. თუ გარკვეული მიზეზების გამო უარს ვერ ამბობთ მზესუმზირას ზეთის გამოყენებაზე, ეცადეთ მარტივი რჩევები გაითვალისწინოთ, რათა ორგანიზმი დაიცვათ.

ვინ არ უნდა გამოიყენოს მზესუმზირის ზეთი?

1. აკრძალულია მათთვის, ვისაც აქვს ნაღვლის ბუშტის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, მაღალი ქოლესტერინი, გულის დაავადებები.

2. არ უნდა მიიღონ ორ წლამდე ბავშვებმა.

3. ეს ზეთი ცნობილი ალერგენია და მაღალი მგრძნობელობის მქონე ადამიანები, მათ შორის, ამბროზიის, გვირილისა და ქრიზანთემის მიმართ, არ უნდა იღებდნენ მას.

4. მზესუმზირის ზეთი ყველაზე კალორიულია სხვებთან შედარებით, ეს კი გახდომის მოსურნეებისთვის ნამდვილად არ იქნება დადებითი ფაქტორი.

ტოქსიკური მზესუმზირას ზეთის ალტერნატივას წარმოადგენს ზეითუნის ზეთი. ცნობილია, რომ მზესუმზირას ზეთში მეტია ვიტამინები: A,E,K, ვიდრე ზეითუნისაში. თუმცა ეს უკანასკნელი უკეთ შეითვისება, ოლეინის მჟავას შემცველობის წყალობით. სალათის შეზავება სელის ზეთით და მის მიღება უზმოზე, დაგეხმარებათ ორგანიზმის მუშაობის ნორმალიზებაში და მრავალი დაავადების პროფილაქტიკას მოახდენთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირება ფასიანი ხდება

2023 წლის პირველი თებერვლიდან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირება ფასიანი ხდება.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში აღნიშნავენ, რეფორმის საწყის ეტაპზე, 2017 წლიდან, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ავტომფლობელების განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირების საფასურისაგან დროებით გათავისუფლებასთან დაკავშირებით (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმეორებითი ინსპექტირება ტარდებოდა იმავე ინსპექტირების ცენტრში, სადაც ჩატარდა პირველადი ინსპექტირება). უწყებაში განმარტავენ, რომ განმეორებით ინსპექტირებაზე საფასურის არარსებობის პირობებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენა ხდება გაუმართავ მდგომარეობაში იმ მიზნით, რომ ინსპექტორის მხრიდან დადგინდეს ხარვეზი შემდგომ, განმეორებით ინსპექტირებისთვის გამოსწორების მიზნით.

„აღნიშნულის შედეგად, ხშირია პრაქტიკა, როდესაც პირველად ინსპექტირებაზე ხდება ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენა, რაც ართულებს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესს, ზრდის შესაბამისი ცენტრების მხრიდან მომსახურებისთვის აუცილებელ რესურსს და, გარკვეულწილად, ხელს უშლის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ სრული სურათის გამოვლენას.

აღსანიშნავია, რომ, საერთაშორისო პრაქტიკით, უმეტეს სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება საქართველოს მსგავსი სისტემით, განმეორებითი ინსპექტირებისთვის დაწესებულია საფასური, რომელიც შეადგენს პირველადი ინსპექტირების საფასურის დაახლოებით 30 პროცენტს“, — აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

ავტოსატრანსპორტო საშუალების განმეორებით ტექნიკურ ინსპექტირებაზე „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით) შეტანილი ცვლილებით (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 დეკემბრის №562 დადგენილება) დგინდება საფასურები შემდეგი განაკვეთებით:

- მძიმეწონიანი სატვირთო და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის (M2, M3, N2, N3 — კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის) — 30 ლარი;
- მსუბუქი სამგზავრო (M1 კატეგორია) და სატვირთო (N1 კატეგორია) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, და მისაბმელებისთვის (O3, O4) — 20 ლარი;
- ელექტრომობილებისთვის (M1 კატეგორია) — 15 ლარი.

ამასთან, პირველი იანვრიდან ბენზინის ძრავიანი ავტომობილის ტექინსპექტირებისას CO-ს დასაშვები ზედა ზღვარი მცირდება.

რამდენად უსაფრთხოა სურსათი დედოფლისწყაროში?

სურსათის ეროვნული სააგენტო დედოფლისწყაროში სხვადასხვა საწარმოებს გეგმიურად და არაგეგმიურად ამოწმებს. სააგენტომ მიმდინარე წლის შედეგების ანგარიში გამოაქვეყნა. დარღვევები არ აღმოჩნდა დედოფლისწყაროს ბაზარში და მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში. გამოვლინდა საწარმოებიც, სადაც შენიშვნები იყო.

თებერვალში შემოწმდა დედოფლისწყაროში ფრინველთა სასაკლაო გურამიშვილის 30-ში და ცხოველთა სასაკლაო ზემო მაჩხაანში. 21 თებერვალს ინსპექტირება გეგმიურად განხორციელდა, თუმცა რაიმე სახის სერიოზული დარღვევა სპეციალისტებს არ აღმოუჩენიათ.

16-დან 22 მარტის პერიოდში შემოწმდა დედოფლისწყაროს აგრარული ბაზარი, შპს „აგრობაზარი“. სურსათის სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა ბაზრის შემოწმება გეგმიური წესით განახორციელეს. როგორც კვარტლური მონიტორინგის შედეგებშია ნათქვამი, მათ სერიოზული დარღვევა არ დაუფიქსირებიათ.

სოფელ არბოშიკში და ჯუგაანში რეგისტრირებულ ნედლი რძის საწარმოში მიმდინარე წლის 25 მაისის განხორციელებული გეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა ცალკეული დარღვევა. სპეციალისტების შეფასებით, დარღვეული იყო სურსათის გადამუშავების და შენახვის პროცესი. არ ტარდებოდა სათანადო რეცხვა-დეზინფექცია, წარმოქმნილია ჭარბი კონდენსატი, ინვენტარი კოროზირებულია. ასევე დაირღვა რძის საწარმოსთვის დადგენილი ტემპერატურული რეჟიმიც. სურსათის სააგენტოს ინსპექტორების მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი და გატარდა დადგენილი წესით გათვალისწინებული პროცედურები. საწარმოს დაევალა ხარვეზების დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, მანამდე კი საწარმოო პროცესის შეჩერება.

სოფელ სამრეკლოში და ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩა №30-ში ხორცის რეალიზაციის საწარმოში ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა დაფიქსირდა, ასევე პროდუქცია იყიდებოდა ხორცის ჯანმრთელობის დამადასტურებელი ნიშანდების გარეშე. დარღვევა მიმდინარე წლის 26 ივლისს გეგმიური შემოწმების დროს იქნა დაფიქსირებული და რეალიზატორის მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები, მათ გაფრთხილება მიეცათ.

სოფელ გამარჯვებაში ხორცის საწარმო, საქობოში რეგისტრირებული ობიექტი, ასევე რეალიზებას ახდენდა ხორცის ჯანმრთელობის დამადასტურებელი ნიშანდების გარეშე. დარღვევები დაფიქსირდა 27 ივლისსა და 31 აგვისტოს.

ასევე მეორე კვარტალში ინსპექტირება განხორციელდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ათ საბავშვო ბაღში. შემოწმდა პროდუქტის შენახვის წესი, სამზარეულო და საკვების მომზადების უსაფრთხოების პროტოკოლი. 16-დან 24 მარტის პერიოდში სურსათის სააგენტოს ინსპექტორები იმყოფებოდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს ოთხ საბავშო ბაღში და ასევე სოფლებში: ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, ოზაანი, გამარჯვება და ხორნაბუჯი. მონიტორინგის დასკვნაში რაიმე სახის დარღვევაზე საუბარი არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ დედოფლისწყაროში მოქმედ საბავშვო ბაღებში ყველა სტანდარტი დაცულია და სპეციალისტებს მნიშვნელოვანი შენიშვნები არ აქვთ.

სურსათის სააგენტოს ინსპექტორებმა დედოფლისწყაროში მოქმედ „რძის ქალაქში“ არსებულ რძის ნიმუშში, თავდაპირველი კვლევით, ბრუცელოზის არსებობა გამოავლინეს. საწარმოს აეკრძალა სოფელ სამრეკლოში მდებარე ფერმიდან რძის მიღება. თუმცა, ვინაიდან პირველი კვლევის ცდომილების ალბათობა დიდია, ბრუცელოზის დასადასტურებლად, დამატებით, სისხლის კვლევა დაინიშნა. „რძის ქალაქის“ მენეჯერის თამარ მოდებაძის მტკიცებით სისხლის ანალიზის მიხედვით, ბრუცელოზი აღარ დადასტურდა, შესაბამისად, არც ფერმას და არც რძის კომპანიას არანაირი სანქცია არ დაკისრებია.

ილია მარტყოფლიშვილი

„ქალაქში არცერთი ქუჩა არ დაგვრჩა ასფალტის გარეშე“

ქ. დედოფლისწყაროში ევდოშვილის ქუჩის მეორე შესახვევში და კოსტავას ქუჩის მონაკვეთში ასფალტ - ბეტონის საფარის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

მიმდინარე პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურულ პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი ახორციელებს და მისი ჯამური ღირებულება 209 299 ლარია.

„ამით დასრულდა დედოფლისწყაროში ქუჩების რეაბილიტაციის პროცესი და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცერთი უასფალტო ქუჩა და ჩიხი აღარ დაგვრჩა. ეს მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას არცერთ სოფელში არ დაუგია ასფალტი, ჩვენ სოფლებშიც კი შიდა გზების დაგებაზე გადავედით, ქალაქ დედოფლისწყაროში კი არცერთი ქუჩა აღარ დარჩა ასფალტის გარეშე,“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს მერი.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა ფორუმი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ განხორციელებული პროექტის - „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ -სამეთვალყურეო საბჭოს სხდომას დაესწრო.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს წარმომადგენლებმა ბრიუსელიდან და ვენიდან, ასევე საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის წევრებმა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და ფორუმის მიერ განხორციელებულ პროექტებში აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი, რომლის წევრიც საქართველოს 12 მუნიციპალიტეტთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიცაა, ევროპის საბჭოს 2020-2023 წლებში საქართველოს სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის მიერ განხორციელებული პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ ფარგლებში, 2021 წლის დეკემბერში შეიქმნა.

ოზაანის სკოლის მშენებლობა დაათვალიერეს

30 წლიანი დაპირების შემდეგ სოფელ ოზაანში ახალი საჯარო სკოლა შენდება.

ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან და ოზაანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, ვანო ბენაშვილთან ერთად მოინახულა.

ახალი სკოლის მშენებლობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დედოფლისწყაროს თვითმმართველობის ზედამხედველობით ახორციელებს. პროექტი მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და 2024 წლის დასაწყისში დასრულდება. მისი ღირებულება 2 900 000 ლარია. მრავალი ათეული წელია ოზაანში რამდენიმე თაობა სკოლისთვის შეუსაბამო შენობაში გაიზარდა.



სამი ახალი ჭაბურღილი ზემო მაჩხაანში

სოფელ ზემო მაჩხაანში წყალმომარაგების სისტემას დამატებით სამი ახალი ჭაბურღილი მოემსახურება. ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს მერიაში განუცხადეს.

მათი განმარტებით, არასაკმარისი წყალი მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებდა, რაც მრავალი წლის მანძილზე ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევდა. ვითარება განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე მწვავდებოდა, მითუმეტეს, რომ არდადაგებზე სოფელში ბევრი მაჩხაანელი ბრუნდებოდა, რეზერვუარს მათი წყლით უზრუნველყოფა უჭირდა. თითქმის რვა წელია ამ სოფელში წყლის პრობლემის გადასაჭრელად ხან ახალი რეზერვუარის, ხანაც ახალი ქსელის მოწყობა დაიწყო, თუმცა პრობლემას ვერ ეშველა. არასაკმარისი რესურსი კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. ამდენად დამატებითი დებეტის მისაღებად ახალი ჭაბურღილების მოძიება გახდა საჭირო. ამას გარდა, პრობლემის გადასაჭრელად და რესურსის დასაზოგად სოფლის გამრიცხველიანება დაიწყო.

მაჩხაანელები „შირაქს“ უყვებიან, რომ უკეთესობისკენ ცვლილებას უკვე გრძნობენ.

„ამჟამად წყალი ყოველდღე მოდის, დილიდან საღამომდე გვაქვს. თუ ზაფხულში ისევ არ დაიკარგა მარაგი, ამჟამად უკმაყოფილოები არ ვართ. რამდენიმე თვეა დაქსელვა და მრიცხველების მონტაჟი დაიწყეს. ჯერ მრიცხველით არ ვიხდით, მაგრამ გამრიცხველიანება დაიწყო და ეს მნიშვნელოვანია“.

„ზაფხულში წყალი თითქმის არ გვქონდა, ამჟამად დღეგამოშვებით მოგვეწოდება და ასეთი გრაფიკი მოქმედებს. შარშან შემოდგომაზამთარში უფრო ხშირად მოგვეწოდებოდა, ზოგჯერ ყოველდღეც იყო, მაგრამ ბევრგან არ მიდიოდა. ახლა ჭაბურღილი დაამატეს და გაუმჯობესდა. შარშანდელთან შედარებით ჩემთვის არ გაუმჯობესებულა, მაგრამ უკმაყოფილო მაინც არ ვართ. სამაგიეროდ სხვაგან აისახა“.

ზემო მაჩხაანში მერის რწმუნებული გიორგი იაკობიშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ სოფელში ყველა უბანი ერთნაირად იღებს წყალს და რადიკალური სხვაობა არ არის, მისივე განმარტებით, ახალი ჭაბურღილები სოფელში არსებულ წყლის მრავალწლიან პრობლემას აღმოფხვრის. რწმუნებული ამბობს, რომ პრობლემა სოფლის გამრიცხველიანებით გადაიჭრება. ამ დრომდე მაჩხაანში წყლის გადასახადს ოჯახები სულადობრივად იხდიან და დაგეგმილია გამრიცხველიანება.

„ორი ჭაბურღილი დაერთდა და მესამე ახალი ჭაბურღილიდან წყლის ნიმუშები გავგზავნეთ გურჯაანში კვლევაზე, საჭიროა დასკვნა წყლის ვარგისიანობაზე. როგორც კი მიიღებენ დასკვნას, მესამე ჭაბურღილიც დაერთდება რეზერვუარზე და როგორც ვიცი, იქ უფრო მეტი მარაგის მიღებაა მოსალოდნელი. პრობლემას გამრიცხველიანებაც მოაგვარებს, რადგან მოქალაქეები სულადობრივ გადასახადს აღარ გადაიხდიან და ეცდებიან მეტად დაზოგონ წყალი. ამჟამად სოფელში მთლიანად ახალი მრიცხველები დამონტაჟდა. ნაწილი უკვე ამოქმედდა და მრიცხველით იხდის, ნაწილი სულადობრივად, ნელ-ნელა მიჰყვებიან და ეს პროცესი გაგრძელდება. ამჟამად პრეტენზიები წყლის გრაფიკთან და უკმარისობასთან დაკავშირებით აღარ გვესმის. სოფლის ყველა ნაწილს თანაბრად მიეწოდება წყალი. ერთადერთი მირზაანის მხარეს გვქონდა პრობლემა, გამოიცვალა მილი და ისიც აღმოიფხვრა. მესამე ჭაბურღილის გამოყენება ზაფხულის სეზონზეც დიდ იმედს გვაძლევს,“ - აღნიშნავს გიორგი იაკობიშვილი.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ზემო მაჩხაანის წყალმომარაგებაც ძალზე სენსიტიური პრობლემა იყო ჩვენთვის. წლების მანძილზე ბევრი შეფერხება არსებობდა, ახლა ვითარება რადიკალურად არის გაუმჯობესებული და მიმდინარეობს დამატებითი წყლის რესურსის მოპოვება, რომ საკმარისი დებეტი შეიქმნას. კომპანიამ ერთი ჭაბურღილი რომ დააერთა, გვარწმუნებდნენ, ეს საკმარისი იქნებოდა, თუმცა ასე არ აღმოჩნდა და კიდევ ორი ჭაბურღილი დაემატა“.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები ქ. დედოფლისწყაროში, სამრეკლოსა და გამარჯვებაში დაათვალიერა.

ამჟამად მუნიციპალიტეტის მასშტაბით ეწყობა 7 ახალი სპორტული მოედანი და რეაბილიტირდება - 10. ახალი სტადიონები შენდება ზემო მაჩხაანში, ქვემო ქედში, სამრეკლოში, ზემო ქედში და ქ. დედოფლისწყაროში, ხოლო არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მიმდინარეობს არხილოსკალოში, ქვემო ქედში, ფიროსმანში, სამრეკლოში, გამარჯვებაში, ოზაანში, ხორნაბუჯში, არბოშიკში, მირზაანსა და ქ. დედოფლისწყაროში.

როდის დასრულდება მდინარე „ივრიდან“ წყლის ამოყვანის სამუშაოები?

სულ უფრო ცოტა დრო რჩება, ვიდრე მდინარე „იორიდან“ სასმელ წყალს მივიღებთ. ცენტრალური მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები, რითიც წყალი დალის მთის წყალსაცავიდან დედოფლისწყაროს რეზერვუარში უნდა ამოვიდეს, თითქმის დასასრულს უახლოვდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქსელის მოწყობის პროექტი ოთხ ლოტადაა დაყოფილი.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ლოტებში ცვლილება შევიდა და ქალაქ დედოფლისწყაროს, სამრეკლოსა და ხორნაბუჯს, სადაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 50% ცხოვრობს, დაემატა სოფელი გამარჯვებაც, რომელიც ერთი დიდი ცენტრალიზებული პროექტი გახდა. დედოფლისწყაროს მერიაში „შირაქს“ ეუბნებიან, რომ ამაზე 41 მილიონი იხარჯება და წყალი 40 კილომეტრიდან ამოვა.

„კონტრაქტორ კომპანიას სამუშაოების 80%-ზე მეტი უკვე დასრულებული აქვს და აქტიურ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სწრაფ ტემპში განხორციელდა ყველა პროცესი. მაქსიმუმ 2023 წლის იანვარ-თებერვალში ქსელი მზად იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლის ზაფხულში, ცხელი დღეებისთვის, როცა წყალი ძალიან გვიჭირს და გრაფიკზე გადასვლის აუცილებლობა გვაქვს ხოლმე, ჩვენ წყლის საკმარისზე მეტი მარაგი გვექნება და გრაფიკი აღარ დაგვჭირდება. დედოფლისწყაროს არსებობის ისტორიაში ეს ახალი ეტაპი იქნება, როცა 24 საათიან მომარაგებაზე გადავა არა მხოლოდ ქალაქი დედოფლისწყარო, არამედ მისი სოფლებიც. ამავე პროექტის დანარჩენი სამი ლოტიც ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდება.

„გარისკე, გადადგი ნაბიჯი და მიხვდები, რა შეგიძლია და რა არა“

ყოველდღიურად იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც ხელსაქმით დაკავება სურთ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ხელნაკეთ ნივთებზე ნამდვილი ბუმია. ზოგი ბებიების ხრიკებს იხსენებს, ზოგიც ხელსაქმის ახალ ტექნიკას იგონებს. ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს. ახალგაზრდა, რომელიც დღეს უნდა გაგაცნოთ, ბევრისთვის მოტივაციისა და მონდომების წყაროც კი შეიძლება გახდეს.

ალბათ, ვერ წარმოიდგენთ, რომ ფო-

ტოდან სოფლის მეურნეობაზე შეყვარებული გოგონა გიყურებთ. დიდი ბოსტნის, საჩითილე მეურნეობის, წიწილების, ქათმების, იხვების, მსხვილფეხა თუ წვრილფეხა ცხოველების ყოლა-ქონამდე კი მისი ინტერესები ხელსაქმესთან, კერძოდ კი - კერვასთან გადაიკვეთა. კერვა, რომელსაც ერთ დროს მისთვის უბრალოდ თავისუფალი დრო უნდა შეევსო, ახლა შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. კერავს სატინის, ბამბუკის, ჟატის, ფანელის ნაჭრით. თითოეულის ფასი კი ქსოვილის ხარისხსა და ზომაზეა დამოკიდებული. **სოფო ბიკაშვილი** ადამიანების იმ რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც რისკავენ გამარჯვების იმედით და შრომის პროცესში მიღწეული პატარ-პატარა გამარჯვებებით მიისწრაფვიან წარმატებისკენ. ყველა კითხვას სოფომ საოცარი გულწრფელობით უპასუხა. და პასუხები ამაში ნამდვილად დაგარწმუნებთ.

– მე ვარ სოფო ბიკაშვილი, 29 წლის, დავიბადე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტოლოგიის განხრით. ჩემი პროფესიით არ მიმუშავია. 5 წელი წიგნის კომპანიაში გაყიდვების მენეჯერად ვიმუშავე. შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, მივიღე გადაწყვეტილება, რომ სოფელში დავბრუნებულიყავი. გულწრფელად გეტყვით, იმიტომ, არა, რომ სოფელში მინდოდა, უბრალოდ ცხოვრების იმ ეტაპზე სოფელში დაბრუნება ნამდვილად საჭირო და სწორი გადაწყვეტილება იყო. სწორად იმიტომ, რომ აქ უნდა ჩამოსვულიყავი და მეცხოვრა, გადავწყვიტე, უქმად არ ვმჯდარიყავი და რაიმე ხელსაქმისთვის მომეკიდა ხელი. გავიგე ევროკავშირის პროექტის შესახებ, დავწერეთ მე და ჩემმა მეგობარმა ნათია ბაღაშვილმა პროექტი, სადაც გავიმარჯვეთ, საკერავი მანქანები შევიძინეთ და დავიწყეთ ხელსაქმე. თავდაპირველად, თეთრეულს ვკერავდი, ადგილობრივი ბაზრისთვის, ნაწილს თბილისისთვისაც. ახლა უკვე ჩანთების შეკვეთაც მივიღე, რომელიც საზღვარგარეთიდან მაქვს, კერძოდ ამერიკიდან და იქ ვაგზავნი. აქ სოფელში კი ვისაც სჭირდება დახმარება, ელემენტარული უნარების სწავლა თუ დახვეწა, უსასყიდლოდ ვეხმარები. მინდა აღვნიშნო, რომ არ ვარ პროფესიონალი მკერავი, თვითნასწავლი ვარ, თუმცა, იმ ცოდნასა და გამოცდილებას რაც მაქვს, ყველას, ვისაც სჭირდება და აინტერესებს ეს სფერო, ვუზიარებ.

სოფელში დაბრუნება იყო ის მომენტი, რამაც ხელსაქმით დაკავება გადაგაწყვეტინა თუ თავიდანვე გქონდა გარკვეული ინტერესები?

შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არასდროს მქონია მსგავსი რამ გადაწყვეტილი. ფიქრადაც არასდროს გამივლია კერვა, სურვილიც კი არ მქონია. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ მსგავსი ხელსაქმის კეთება შემეძლო. უბრალოდ, კერვა იმ მომენტში ერთ-ერთი ვარიანტი იყო, რაღაც კონკრეტული რომ მეკეთებინა. ყველაფრის შესასწავლად ძალიან ბევრი ვიმუშავე საკუთარ თავთან. არ არის მაინც და მაინც მარტივი საკერავ მანქანასთან ჯდომა და კერვა, თანაც დამოუკიდებლად. დიდი შრომის ჩადება მომიწია. ეს როგორც გამოწვევა ისე მივიღე. საბედნიეროდ, ამ სირთულისთვის აბსოლუტურად ღია აღმოვჩნდი და შევეჭიდე. ვფიქრობ, ამ საქმეს მეტ-ნაკლებად კარგად ვაკეთებ. ჩემთვის ეს დღემდე ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შექმნის პროცესში აქტიურად ვარ ჩაბმული.

რატომ ნაჭერთან ურთიერთობა და არა ქსოვა, ანდაც ხელნაკეთი ნივთები, მაგალითად სათამაშოები?

აქტიურად დავიწყე ინტერნეტში მოძიება იმ მარტივი საქმეების, რაც შეიძლებოდა, რომ საკერავი მანქანით გამეკეთებინა. თოჯინების, ტანსაცმლის, ხელნაკეთი ნივთების გაკეთება უფრო მეტ ცოდნას და პრაქტიკას მოითხოვს. იმიტომ, რომ იქ გჭირდება მეტი ტექნიკური დეტალის გამოყენება - თარგები, გამოჭრა და ა.შ. მართალია ეს თეთრეულსაც სჭირდება, თუმცა დიდ სირთულესთან არაა დაკავშირებული, როგორც სხვა კონკრეტულ შემთხვევებში. იმ კუთხით ავარჩიე, მარტივი და გამოსაყენებელი საქმე რომ ყოფილიყო. აქედან გამომდინარე დაიბადა სწორედ ეს იდეა.

რა ძალისხმევასთან არის დაკავშირებული? რამდენი დრო სჭირდება თითოეული შენი ნაშრომის შექმნას?

თავდაპირველად, ნამდვილად დიდ შრომასთან და დროსთან იყო დაკავშირებული, ნელა ვკერავდი, არ ვიცოდი ბევრი დეტალი, ძალიან დიდი დაკვირვება მჭირდებოდა. რაც დრო გადის, უფრო ნაკლები დრო მჭირდება შესაქმნელად. დატვირთვა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ განსხვავება მაინც დროშია. თუ ადრე ერთ ხელ თეთრეულს ვკერავდი 2 საათში, ახლა ამას 40 წუთს ვანდომებ. თუმცა შრომატევადია, დამღლელია საკმაოდ, პასუხისმგებლობის გრძნობა არის გაასმაგებული და ნერვიულობაც ყოველთვის ახლავს თან ამ პროცესს, რათა კარგად შეკერო, კარგად გააკეთო და ხარისხზე ორიენტირება შეძლო. ნაჭრებთან დაკავშირებულ საკითხებს, ყიდვა, გამოგზავნა, ჩამოტანა ამას ჩემი მეგობარი აკეთებს, რომელთან ერთადაც გავაკეთე პროექტი. შეკერვით ვკერავ მარტო. თუ დიდი შეკვეთა მაქვს და ფიზიკურად დროში ვერ ვეტევი, ჩემი მეზობელი ქალბატონი ლეილა მეხმარება ამ ყველაფერში და ერთად ვაკეთებთ. თუმცა, საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ძირითად ნაწილს მე ვაკეთებ.

სხვა ქალბატონების მხრიდან სურვილისა და დაინტერესების შემთხვევაში, თუ ფიქრობ შემსწავლელი წრის გახსნას, რათა შენი ცოდნა სხვასაც გადასცე?

ამაზე არ მიფიქრია, რადგან არ მივიჩნევ საკუთარ თავს პროფესიონალ მკერავად. ასწავლო სხვას - ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მაშინ თვითონ უნდა ვიყო იმ დონის პროფესიონალი, რომ ავიღო სრულად ეს პასუხისმგებლობა და საკუთარ თავს ვუთხრა, „მოდი, ახლა მე შევასწავლი სხვებს“. ვფიქრობ, მოყვარული ვარ, რომელსაც ეს კონკრეტული ორი საქმე, ჩანთებისა თუ თეთრეულის კერვა, კარგად გამოსდის, მაგრამ, ამის იქეთ უფრო რთული დეტალების გაკეთება, სამწუხაროდ, არ შემიძლია. სიმართლე რომ გითხრათ, ამ ეტაპზე დაინტერესებული მეც არ ვარ, რომ ვისწავლო და მერე ვასწავლო. ვფიქრობ, ჩემთვის კერვა არ არის ის საქმე, მთელი ცხოვრება რომ უნდა გავყვე და ვაკეთო. უბრალოდ, ეს ის საქმე აღმოჩნდა, რომელიც იმ მომენტში საოცრად მჭირდებოდა და გავაკეთე. მცირე საწარმოს არსებობის შემთხვევაში, შეიძლება დავფიქრდე, მაგრამ უფრო სხვა მიმართულებით მინდა წასვლა და ამისთვის რესურსი, დრო, ვფიქრობ, ფიზიკურად არ მექნება. თუ რაღაც შეიცვალა და ის გეგმები, რაც სამომავლოდ მაქვს დასახული ვერ განვახორციელე, შემდეგ უკვე შეიძლება მაგაზეც ვიფიქრო. ჩემი სამომავლო გეგმები კი სოფლის მეურნეობას უკავშირდება, რადგან, გარდა ხელსაქმისა, სოფლის მეურნეობაშიც, უნდა ითქვას, რომ აქტიურად ვარ ჩართული. მინდა გავზარდო და გავაფართოვო ის. უპირველესად კი მიწაზე მუშაობას, ბოსტნის გაფართოებას ვფიქრობ. ეს არის ჩემთვის ერთ-ერთი მთავარი, მნიშვნელოვანი და საყვარელი სფერო. საჩითილე მეურნეობაზეც ვფიქრობ, მესაქონლეობა, მეფრინველეობა - აი, ამ კუთხით უფრო ვაპირებ გაგრძელებას. ეს ის სფეროებია, რაც მანიჭებს სიამოვნებას და ლოგიკური და ბუნებრივია, რომ ამის გაკეთება უფრო მეტად მინდა. ჯერ ზუსტად არ ვიცი.

რომელია უფრო მეტი ინტერესის წყარო - სოფელი, ქალაქი თუ საზღვარგარეთი?

სოფლის მეურნეობას რაც შეეხება, ჯერ ჯერობით ადგილობრივი მოსახლეობისგანაა უფრო მეტად დაინტერესება, რადგან არ მაქვს ჯერ იმხელა რესურსი, რომ სოფელს გავცდე და რეალიზება სხვაგან გავუკეთო. შეკერილი პროდუქციის მოთხოვნაც ძირითადად აქ უფრო მეტია. მქონდა სოციალურ ქსელში გვერდი, ვცდილობდი, რომ შეკვეთები იქედანაც მიმეღო, მაგრამ მისი მუშაობა დროებით შევაჩერე, სხვა საკითხებზე გადავერთე და ონლაინ შეკვეთებისთვის დრო აღარ მრჩებოდა. მაგრამ, არაა გამორიცხული, რომ ისევ დავუბრუნდე და აღვადგინო მომხმარებელთან ონლაინ კომუნიკაცია. ჩანთებზე ძირითადად საზღვარგარეთიდანაა შეკვეთა, საკმაოდ სქელ, მყარ ნაჭერზე ხევსურული მოტივებით ვკერავ. ჩანთების შემთხვევაში ვიღებ მხოლოდ და მხოლოდ შეკერვის ანაზღაურებას, დანარჩენში არ ვერევი. თეთრეულს რაც შეეხება, გასაყიდ ფასსაც მე ვადებ და სრულად ვარ ჩართული მისი რეალიზაციის პროცესში.

რას ურჩევ იმ ახალგარდებს, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ხელსაქმეს? რა სჭირდებათ მათ იმისთვის, რომ ხელსაქმისკენ გადადგან ნაბიჯი და წამოიწყონ მათთვის სასურველი საქმე?

პირველი და უმთავრესი, ჩემი აზრით, ალბათ, არის გამბედაობა. თუ არ გარისკე, თუ არ გადადგი ნაბიჯი, ვერასდროს გაიგებ შეგიძლია თუ არ შეგიძლია რაიმეს კეთება. ჩემთვის რამდენიმე წლის წინ რომ ეთქვათ, ამ საქმით იქნები დაკავებული, შეკერავ, ან საკერავ მანქანასთან დაჯდებიო, წარმოუდგენელი იქნებოდა ჩემთვის. იმიტომ, რომ არასოდეს მქონია შეხება და ინტერესი ხელსაქმის მიმართ, იქნებოდა ქსოვა, ქარგვა თუ ასე შემდეგ. შესაბამისად, უნდა გაბედო, გადადგა ნაბიჯი და აუცილებლად გამოგივა. ვფიქრობ, თუკი ადამიანს საქმის კეთების სურვილი აქვს და მოინდომებს, აუცილებლად გააკეთებს, აუცილებლად გამოუვა. როცა ფიქრობ, რომ რაღაც არ შეგიძლია, ვერ გააკეთებ, მაგრამ გარისკავ ხელს მოკიდებ, და გამოგივა, ეს იმხელა სტიმულია, იმხელა მოტივაციაა, რომ სხვა საქმეშიც უკვე გადადის შენი დავდაჯერებულობა, მოტივაციაც და ასმაგად უფრო ძლიერი ხდები. შეიძლება ის კონკრეტული საქმე შემდეგ აღარ გაგრძელო, მაგრამ ეს ყველაფერი შენში რჩება, სამომავლო საქმეებშიც გეხმარება და გიხარია, რომ შენ ეს შეძელი, გააკეთე.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებებს უსურვებს სოფოს ნებისმიერ წამოწყებულ საქმესა თუ ჩანაფიქრში. ხელსაქმე კმაყოფილების განცდას იძლევა, დადებითი ემოციებით გკვებავთ და ყოველდღიური პრობლემებისგან გიცავთ. შემოქმედება გადამდებია — გაავრცელეთ და დაე, თქვენი ყოველი დღე ბედნიერებით და სიხარულით იყოს სავსე!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„საახალწლო მუსიკალური შეხვედრები" კონსერვატორიის დიდ დარბაზში

11 დეკემბერს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, XXV საიუბილეო საერთაშორისო ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების" მეორე კონცერტი, ფოლკლორის საღამო გაიმართა.

გარდა ამისა, საღამო კახეთის სალოტბარო სკოლების კონცერტს „გაცოცხლებული წარსული" და ლევან მუღალაშვილის მონოგრაფიის პრეზენტაციას დაეთმო. ფესტივალის ფარგლებში კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა 22 ლოტბარსა და 22 გუნდს უმასპინძლა კახეთის რეგიონიდან.

კახეთის რეგიონიდან წარმოდგენილი გუნდის ხელმძღვანელები იყვნენ:

გურჯაანი - ილია დათუაშვილი (სამხატვრო ხელმძღვანელი), ნათია დათუაშვილი, თემო არაყიშვილი, ქეთევან ასკილაშვილი, ოთარ გოდერიძე, ალეკო ნატროშვილი, ნოდარ გაფრინდაშვილი;

საგარეჯო - ბექა და გუგა ღვინაშვილები, სერგო როსტომაშვილი, სოფო ამირეჯიბი, ვასო ნემსაძე, გიორგი მექერიშვილი, ლევან ჟღენტი;

სიღნაღი - ნათია დათუაშვილი, ლელა ვარამაშვილი, ნინო ყანჩაშვილი, თამილა სულხანიშვილი;

დედოფლისწყარო - ნიკოლოზ შანშავილი, ლექსო გრემელაშვილი, გელა გველუკაშვილი, ანა ლოლაშვილი.

პროექტის ხელმძღვანელები არიან: დავით ცინცაძე და ილია დათუაშვილი.

„მე რადგან ლანჩხუთიდან ვარ და იქ ჩემს ოჯახს და მეც შედარებით მეტი ადამიანი მიცნობდა, მეტი ნდობის ხარჯზე გადავწყვიტე პირველი სალოტბარო სკოლა ლანჩხუთში დამეარსებინა. 2010 წელი იყო, რაიონს მცირედი ცოდნის მქონე ლოტბარიც კი არ ჰყავდა და ბატონი ავთანდილ მახარაძე ჩამოგვყავდა ჩოხატაურიდან წლების მანძილზე. მასთან ერთად მერაბ თურქია ჩადგა საქმეში. ამ დროს დირექტორი სოფო ჭელიძე იყო. შემდეგი წელი ოზურგეთი იყო, სადაც ასეთივე სკოლა შევქმენით, შემდეგი ჩოხატაური და მახსოვს სკოლის გახსნის ღონისძიებებზე ბატონი ანზორ ერქომაიშვილი ყველგან დიდი სიხარულით მობრძანდებოდა ხოლმე. დღეს სკოლა არის ხაშურშიც და იყო გორშიც, შემდეგ კიდევ ბევრ ადგილას გაიხსნა სალოტბარო სკოლები და მოგვიანებით ჩვენს მსგავსად სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრმაც წარმატებულად დაიწყო ასეთი სკოლების დაარსება და სხვადასხვა რაიონში დღეს უკვე უამრავ ლოკაციაზეა ბავშვთა საგანმანათლებლო კერები, სადაც ტრადიციული მუსიკა ისწავლება.

აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილს რაც შეეხება, აქაც, ისევე როგორც დასავლეთში, სალოტბარო სკოლის სახის საგანმანათლებლო კერები პირველად ჩვენ გავხსენით, თუმცა სხვამხრივ სიმღერა თითქმის ყველგან ისმოდა და გარკვეული გუნდებიც არსებობდა.

ჩვენ აღმოსავლეთში საქმე გურჯაანიდან დავიწყეთ, რადგან აქ უკვე არსებობდა ბაზა საიმისოდ, რომ განსაკუთრებული ხარისხის სკოლა დაარსებულიყო. ლოტბარ ილია დათუაშვილის თაოსნობით კახეთში შედგა საგანმანათლებლო პროექტი, რომლის ხელმძღვანელობაც თავად ბატონ ილიას დაევალა და მან იშვიათი ხარისხით წარმართა საქმე არა მხოლოდ გურჯაანში, არამედ საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. დედოფლისწყაროს სკოლაში განსაკუთრებული ღვაწლი სკოლის დაარსების საქმეში უნდა ითქვას, რომ ქალბატონ თამარ თამაზაშვილს მიუძღვის.

მოგვიანებით პროექტის მასშტაბი გაიზარდა და არა მხოლოდ რაიონულ ცენტრებში, არამედ სოფლებშიც შეიქმნა მსგავსი სკოლები და დღეს უკვე მხოლოდ კახეთის მასშტაბით ჩვენ მიერ დაარსებული ჯგუფები ბავშვთა 22 გუნდს ითვლის.

სწორედ ამ ღირებული საქმის ანგარიში გვქონდა 11 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში!" - აღნიშნა ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ საკუთარ სოციალურ ქსელში.

გაზეთი „შირაქი" ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის დირექტორს, ᲚᲐᲚᲘ ᲐᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ დაუკავშირდა: „წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ჩვენს ბავშვებს. პირველად მოხდა ისიც, რომ სოფლებში ახლადშექმნილი გუნდებიც გავიყვანეთ და კონსერვატორიის სცენაზე დავაყენეთ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სეზონური ვირუსების მიზეზით გუნდებში სოლისტების ძირითადი ნაწილი გვაკლდა და ავადმყოფობის გამო ვერ წავიყვანეთ, ეს მათი გამოსვლის ხარისხზე სულაც არ ასახულა და მაინც მოწონება დაიმსახურეს. სამი სამარშრუტო ავტომობილით ვიყავით წასულები და ქება დავიმსახურეთ".

„შირაქი" ასევე ესაუბრა დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის ანსამბლის ხელმძღვანელს, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲨᲐᲜᲨᲐᲨᲕᲘᲚᲡ: „11 დეკემბერს კონსერვატორიის დიდი დარბაზში გაიმართა სალოტბარო სკოლების ანგარიში. დიდი პატივი იყო ამ სივრცეში ჩვენი ანსამბლის მონაწილეობა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს გახლდათ საერთაშორისო, XXV-ე ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრების" ფარგლებში ჩატარებული საღამო, რომელიც კონსერვატორიის დაარსების 105 წელს ეძღვნებოდა. სალოტბარო სკოლები უამრავი ახალგაზრდითა და მათ გვერდში მყოფი გამოცდილი მომღერლებით იყვნენ წარმოდგენილნი, რისთვისაც მინდა ორგანიზატორებს გადავუხადო მადლობა: დავით ცინცაძეს და ილია დათუაშვილს. რაც შეეხება უშალოდ საღამოს: კონცერტზე დიდი რაოდენობით იყვნენ ბავშვები წარმოდგენილნი თავის საოცარ და საამაყო პედაგოგებთან ერთად. მადლობა ბატონ დავით სონღულაშვილის (გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარს), რომლის ინიციატივით წელს რაიონული ცენტრებთან ერთად სოფლებში შევიდა სალოტბარო სკოლები და მასშტაბმა უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია კახეთის რეგიონში. მადლობა დედოფლისწყაროს მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს და ქალბატონ თამარ თამაზაშვილს აქტიურად გვერდში დგომისთვის. რაც შეეხება დედოფლისწყაროს ჰ.გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლის გუნდს, ჩვენ შევასრულეთ „ქართლური მაყრული". ანსამბლი წარმოდგენილი იყო გაერთიანებული გუნდის სახით სოფელ სამთაწყაროს, არხილოსკალოს, ზემო, ქვემო ქედის, არბოშიკისა და მაჩხაანის გუნდებში მყოფი მოსწავლეებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვები პირველად წარსდგნენ ფართო აუდიტორიის წინაშე, რითაც მათ უდიდესი გამოცდილება მიიღეს."

გაზეთი „შირაქი" წარმატებებს უსურვებს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლას. შეგახსენებთ, რომ სკოლაში სწავლის მსურველები, როგორც ქალაქ დედოფლისწყაროში, ისე სოფლებში (7 წლიდან ზევით), დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიბრძანდეთ დედოფლისწყაროს ჰ.გონაშვილის სახელობის ხალხური სიმღერისა და გალობის სკოლაში ან დაუკავშირდეთ ნომერზე 597058441. სწავლა უფასოა.

მოამზადა
ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

«ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ» - ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲖᲔ

დედოფლისწყაროელი ლიანა ალადაშვილის ლექსების კრებული „ფიქრის მეწყერი" გამოიცა, რომლის წარდგენა გასულ კვირას თბილისში, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა.

კრებულის ავტორს დედოფლისწყაროს თითქმის ყველა სოფელში იცნობენ. ამჯერად ის საზოგადოების წინაშე განსხვავებული საქმიანობით წარსდგა. როგორც ალადაშვილმა „შირაქს" განუცხადა, ლექსების წერა სულ რამდენიმე თვეა დაიწყო და მეგობრების რჩევით კრებულის გამოცემა გადაწყვიტა. ავტორი იმავდროულად ხსენებული აკადემიის წევრიცაა, წიგნის რედაქტორი კი აკადემიის პრეზიდენტი, პოეტი გულნაზ ხარაიშვილი. აქვს სურვილი შემოქმედებითი საღამო დედოფლისწყაროშიც გამართოს და მუსიკალურადაც თავადვე გააფორმოს. თავს პოეტს არ უწოდებს, თუმცა ლექსები ვერც თაროზე შემოსადებად გაიმეტა და მეგობრების თხოვნითა და თანადგომით კრებულის გამოცემაზე დაფიქრდა. გაზეთი „შირაქი" ᲚᲘᲐᲜᲐ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲡ ესაუბრა:

„სოფელ არბოშიკში, 1957 წელს დავიბადე. პირველი კლასი იქ ვიარე, შემდეგ რადგან მამას სამსახური რაიონში ჰქონდა, 1965 წელს საცხოვრებლად რაიონში გადმოვედით.

ყოველთვის მქონდა სულში, რომ ლექსები მეწერა. აღმოვაჩინე, რომ მე ლექსით და პოეზიით ვსუნთქავ, ამიტომ, ახლა სანამ ცოცხალი ვარ სულ დავწერ. ძალიან მიყვარს ჩემი საქართველო და ეს ჩანს ჩემს პოეზიაშიც.



ჩემს თავს პოეტს არ ვუწოდებ, მაგრამ ვწერ რაც გულიდან მოდის და რაც მტკივა, ან მიხარია. მინდა ჩემი განცდები ფურცელზე გადავიტანო. დედოფლისწყაროს ათამდე სკოლაში მიმუშავია, ქედების ზონის გარდა თითქმის ყველა სკოლაში მქონდა ხალხური საკრავებისა და სიმღერის წრე.

ერთ დროს გუნდიც გავაკეთე, სადაც მთელი რაიონის ბავშვები გავაერთიანე და ღონისძიებებში ვიღებდით მონაწილეობას. ასევე, ჩემს ლექსებზე თვითონ ვქმნი მელოდიებს და თავადვე ვმღერივარ. ბავშვობიდან სულ ვმღეროდი, მაგრამ რაღაც მაკლდა, რაღაც მაწუხებდა, მინდოდა რაღაც სხვა მეკეთებინა.

ჯუთამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე, იმდენად მოვიხიბლე პირველი ლექსი იქ დავწერე, რომელიც ჯუთას მივუძღენი. მერე ჩემი ნაწერები ნაცნობ პოეტებს წავაკითხე და მომიწონეს. ამან სტიმული მომცა და გავაგრძელე წერა. ღამეებს ვათევდი და მუზაც უწყვეტად მომდიოდა.

კრებულში შესული მასალა სულ რამდენიმე თვეში დაიწერა, ასზე მეტი ლექსი მომიგროვდა. აქტიურად ვარ ჩართული კულტურულ ცხოვრებაში, ვესწრები და ვმონაწილეობ სხვადასხვა ღონისძიებებში, მწერალთა კავშირსა თუ ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

დედოფლისწყაროზეც ბევრი ლექსი მაქვს, რადგან, ჩემი სიხარულიც და მწუხარებაც ამ რაიონს უკავშირდება, ამიტომაც დავარქვი კრებულს ასეთი სათაური „ფიქრის მეწყერი," – აღნიშნავს ლია ალადაშვილი

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საბა ბუთხუზის გზა მსოფლიო ჩემპიონობამდე



ჯერ კიდევ წლების წინ „შირაქთან“ საუბრისას ამბობდა, რომ ევროპის ჩემპიონობას უმიზნებდა და შემდეგ მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობდა. მისი ეს ოცნება 9 დეკემბერს ახდა - საბა ბუთხუზი ინდონეზიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელი გახდა, რამაც მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მიანიჭა. მანამდე რამდენიმე დღით ადრე უკვე ცნობილი იყო, რომ 14 წლის დედოფლისწყაროელი სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონატიდან ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა და თუნდაც ფინალური ბრძოლები წაეგო, მსოფლიო პრიზიორი მაინც იქნებოდა და სამშობლოში ვერცხლის, ან ბრინჯაოს მედლით დაბრუნდებოდა. საბა საქართველოს უშუს ისტორიაში პირველია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლება შეძლო.

პირველ ბრძოლაში საუდის არაბეთის წარმომადგენელი ტატამიდან 4-ჯერ გადააგდო და დაამარცხა, ნახევარფინალში მეორე, კანადელი ჯონი ალენი 12:0 აბსოლუტური უპირატესობით დაამარცხა, ხოლო ფინალში ჩინელ ენდი შო-ს ასევე ქულებით მოუგო.

საბა ბუთხუზი: „განცდები მქონდა, მაგრამ ფრენის არ შემშინებია. მგზავრობამ დამღალა, თან წონის კლების გამო მშიერი წავედი და აეროპორტიდან სასტუმრომდე ისე მივედით, მეძინა, გზაში ვერაფერი დავათვალიერე. სასტუმროს გარეთ არც გავსულვართ. ვიდრე ჩემი ბრძოლები დაიწყებოდა, ჩემს მეტოქეებს მანამდე ვაკვირდებოდი, მათი ჩხუბის მანერა, ძლიერი და სუსტი მხარეები კარგად შევისწავლე და თითოეულ მათგანზე წარმოდგენა მქონდა, რა მოლოდინი უნდა მქონოდა, ან როგორ მემოქმედა. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად მზად ვიყავი, დიდი შემართება მქონდა.

პირველი ბრძოლა გაცილებით ემოციური იყო, რადგან მაინც მსოფლიო ჩემპიონატია და მეტი მოლოდინი მქონდა. მაგრამ მალე მივხვდი, რომ სანერვიულო არაფერი იყო და მეტოქეები არაფრით გამოირჩეოდნენ. პირველ ბრძოლაში ჩემი მოწინააღმდეგე ჩემზე ბევრად მაღალი და გამხდარი იყო. ვიცოდი, რომ ჭიდაობით მოვუგებდი და ასეც მოხდა, ვერ გამიწია წინააღმდეგობა და დავამარცხე. ამან მეტი სტიმული მომცა.

კანადელი მეტოქე ჩემთან შეხვედრამდე წინა ბრძოლებში ძალიან სუსტი მომეჩვენა. მისი მოწინააღმდეგეც არ იყო ძლიერი, მაგრამ მაინც მალე იღლებოდა. ვერც ხელს ხმარობდა და ძლივს იგებდა. თავიდანვე ვიცოდი, როგორ მემოქმედა. ჩემი მოლოდინი გამართლდა. ძირითადად ხელს და ფეხს იყენებდა, მაგრამ აქაც ვაჯობე. ჭიდაობას ვიყენებდი, ხელ-ფეხსაც ვხმარობდი. ფიზიკურად მასზე ძლიერი ვიყავი და ტექნიკაც კარგად მქონდა განვითარებული. კარგად მომზადებული დავხვდი. ნახევარფინალში 12:0-ით მოვიგე და გარანტირებული ფინალისტი გავხდი.

ფინალში ჩინელი მეტოქე შემხვდა, ისიც წინასწარ შესწავლილი მყავდა. ძლიერი იყო, მაგრამ როგორც წინა ბრძოლებში ჩანდა, ჭიდაობა მისი სუსტი მხარეა. ეს ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენე, რადგან ჭიდაობაზეც დავდიოდი და ეს კარგად მეხერხება. ფეხს რომ მირტყამდა, ვუჭერდი და გდებებს ვაკეთებდი. ფინალურ ბრძოლაში ცხადია უფრო მეტად მოვინდომე, რადგან საქმე ფინალს ეხებოდა და ოქროს ავიღებდი, თუ ვერცხლს ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. საკმაო გამოცდილება დამიგროვდა, ამიტომ ბრძოლის მსვლელობის დროს უკვე ვგრძნობ, ვიგებ, თუ არა. განცდა უკვე მქონდა, რომ მოვიგებდი, ქულებითაც უპირატესობა მქონდა. ამიტომაც, ენერგია დავზოგე და ვეცადე აღარ დავღლილიყავი. ძირითადად თავდაცვასა და დროის გაყვანაზე გადავედი. ყველა შემთხვევაში ჩემმა სტრატეგიამ გაამართლა და ასე მივედი მსოფლიო ჩემპიონობამდე.

წასვლამდე ყველა ვარიანტი ნაფიქრი მქონდა, ყველანაირი მეტოქე წარმოვიდგინე და ყველა შესაძლო შემთხვევისთვის მოვემზადე. წინასწარ დავგეგმეთ, მაღალის შემთხვევაში როგორ ვიმოქმედებდი, დაბალთან რა ტაქტიკა მექნებოდა. ყველა ვერსია გავთვალეთ. გიორგი ციხკარაულის და ფედერაციის ყველა რჩევა, თუ მითითება გავითვალისწინე, მაქსიმალურად შევასურულე ყველაფერი. ინდონეზიაში ძალიან ცხელოდა და დიდი რაოდენობით ოფლს გამოვყოფდი, ეს ჩემს ინტერესშიც შედიოდა, წონაში სწრაფად ვიკლებდი.

6 წლის ასაკიდან დავდივარ სპორტზე და ვარჯიშმა ჩემი ცხოვრება ძალიან შეცვალა და წარმატება მომიტანა. უფრო მებრძოლი ხასიათი გამომიმუშავდა და გამარჯვების სურვილი საღამოს კი დარბაზში ვარჯიშზე მივდიოდი. მანამდე ჭიდაობაზე დავდიოდი, ის დაიხურა და ერთ თვეში მამაჩემმა უშუზე მიმიყვანა. ვერაფერში ვერკვეოდი, ვიდექი ჩუმად და ვიმეორებდი მოძრაობებს. უშუმ მალე დამაინტერესა, რადგან, ზოგადად, ჩხუბი ყოველთვის მიყვარდა, ამ სახეობაში კი ჩხუბიც და ჭიდაობაც გაერთიანებულია, ამიტომაც მოვიხიბლე. ვაგებდი შეჯიბრებს, მაგრამ უფრო მეტი სტიმული მეძლეოდა, რომ მომავალში გავძლიერებულიყავი და მომეგო. სახლშიც მამხნევებდნენ, არ უნდა დანებდეო, მეც სულ ვიმეორებდი, რომ შემეძლო. ბავშვობიდან ხან პაპას ვეჭიდავებოდი, ხან ოჯახის წევრებს, უფროსები მითმობდნენ ხოლმე, მაგრამ ჩემი და ყოველთვის მჯობნიდა.



როცა საბრძოლველად გავდივარ არანაირი შიში არ მაქვს, გავდივარ ღიმილით, რათა მოწინააღმდეგე მიხვდეს, რომ არ მეშინია. ვინც ვარჯიშობს, ყველას მიზანია მაღალ მწვერვალებს მიაღწიოს, მეც დიდი ხანია ვვოცნებობდი ევროპის ჩემპიონობაზე და შემდეგ მსოფლიო ჩემპიონობაზე, მიხარია რომ შევძელი და ავისრულე. კარგი იქნებოდა, სხვა სპორტსმენებსაც მოეგოთ მედალი, ეს საქართველოს სახელიც იქნებოდა და უფრო მეტი შედეგით დაბრუნდებოდით, მაგრამ ეს მარტო მე შევძელი და ცხადია, გულის სიღრმეში ამაყი ვარ.

დილის ძილი ჩემთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ 12 საათამდე მძინავს. მას შემდეგ, რაც სკოლის მშენებლობის გამო მეორე ცვლაში დავდივარ, გამოძინებას უკეთესად ვახერხებ.

მსოფლიო ჩემპიონის სტატუსი ჩემთვის არაფერს ცვლის, იგივე ვარ, რაც ვიყავი. არ ამვარდნია თავში. მომავალ წელს შემდეგი ჩემპიონატები შეიძლება წავაგო და ისევ ისე გავარგძელებ ცხოვრებას, როგორც აქამდე. რა თქმა უნდა, ამ შედეგმა გამაგდნიერა, მაგრამ ხასიათი არ შემცვლია.

გიორგი მასწავლებელი კარგი მწვრთნელია, კმაყოფილი ვარ მისი ვარჯიშით. კარგი მიდგომა აქვს ბავშვებთან და ბოლომდე გვღლის, არ გვზოგავს, რომ მაქსიმალური შედეგი ვაჩვენოთ. ამიტომაც გვქონდა წარმატებები. გიორგი ციხკარაული და უშუს გუნდი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, ჭიდაობას გავაგრძელებდი და არ ვიქნებოდი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი.

სასიამოვნო და საამაყო იყო აეროპორტში კლასელები და პედაგოგები რომ დამხვდნენ, მართალია წინასწარ გავიგე, რომ დამხვდებოდნენ, მაგრამ მაინც კარგი განცდა იყო. ძლიერი მოსწავლე ვერ ვარ, მაგრამ მიხარია, რომ ასე თბილად შემხვდნენ და ტაშს მიკრავდნენ, მაქებდნენ. ჩემთვის ასევე დიდი პატივი იყო, რომ დედოფლისწყაროს მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მერიაში მიმასპინძლეს, ჩემი წარმატება გაიზიარეს და ფულად ჯილდოს გადმომცემენ. მადლიერი ვარ მათი ყურადღებით.

ფერიდე ტვილდიანი (დედა): „ადრეულ ასაკშივე ჰიპერაქტიური ბავშვი იყო, ძალიან მოქნილი, ყოველთვის ინტერესს იჩენდა სპორტის მიმართ. 6 წლიდან ჭიდაობაზე იარა, უშუზე სამწლიანი ვარჯიშის შემდეგ საბა გახდა უნივერსალური მებრძოლი და უმოკლეს დროში შეძლო სერიოზული წარმატებების მიღწევა. ჰქონდა პერიოდი, როცა გამომიცხადა, დავიღალე, სპორტი აღარ მინდაო, მაგრამ დავარწმუნეთ და გადალახა ეს ეტაპი. ახლა რომ ეხვეწო, აღარ გაჩერდება. სხვათაშორის, არ მიყვარს ბავშვების ქება. მსოფლიო ჩემპიონის სტატუსი საპასუხისმგებლოა, რადგან ამ წოდებას ღირსეული ტარება სჭირდება. მშობლებისთვის კი ორმაგი პასუხისმგებლობაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საბამ ეს სწორად გაიაზროს და ხასიათში ამპარტავნება არ მოუტანოს. როცა შეჯიბრი აქვს, იმ დღეს სახლში ვერაფერს ვაკეთებ, ვცდილობ სადმე გავიდე, რადგან ძალიან ემოციური ვარ ხოლმე. ოჯახი მუდმივად ჩართული იყო მის სპორტულ კარიერაში, მაქსიმუმს ვაკეთებთ მხარდასაჭერად. ცხადია, ამხელა შედეგს ასე მცირე ასაკში არ მოველოდით, მაგრამ როგორც ჩანს მრავალწლიანმა შრომამ და ვარჯიშმა შედეგი გამოიღო. მსოფლიო ჩემპიონობა ყველა ბავშვის ოცნებაა, მითუმეტეს თუ მცირე ასაკიდან ამ სფეროშია, თუმცა დიდად არასოდეს გამოხატავს სურვილებს. ყოველთვის დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში. ძალიან უნდოდა მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო და გახდა კიდეც. ინდონეზიაში გაფრენის წინ ვკითხე: „დე, რას ფიქრობ, შეძლებ მოგებას მეთქი?“ მიპასუხა, „ჩათვალე უკვე მსოფლიო ჩემპიონს ესაუბრებიო!“ ზოგადად, არასოდეს ფიქრობს წაგებაზე და მართლაც ხშირად იმარჯვებს. ამ ეტაპზე მას საკუთარი ნაშრომით ტელეფონის ყიდვის სურვილი აქვს და რა თქმა უნდა შეიძენს“.

გიორგი ციხკარაული (პირადი მწვრთნელი): „ქართული უშუს ისტორიაში საბა პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მანამდე ბევრი მცდელობა იყო, მაგრამ ვერავინ შეძლო გამარჯვება. ამხელა შედეგი ასეთ ასაკში იმიტომ მივიღეთ, რომ მართლა ძალიან მოვინდომეთ. შეიძლება ითქვას ვტანჯავდი, იმდენს ვავარჯიშებდი. თან მეცოდებოდა, მაგრამ თან დავალებებს ვაძლევდი. საღამოს დარბაზიდან ყველა რომ წავიდოდა, საბა რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ძველ შენობაში ვვარჯიშობთ და არ გვაქვს პირობები, საბამ მაინც შეძლო ყველაზე განვითარებული ქვეყნების სპორტსმენებზე უკეთესად მომზადება და მათი დამარცხება. სანამ ხელების მოძრაობა შეეძლო, მანამდე ვავარჯიშებდი ხოლმე, ვცდილობდით არაფერი დაგვეკლო. ყველაზე მძიმე წონა იყო თავის ასაკობრივ კატეგორიაში, ამიტომ ყოველდღიურად წონის კონტროლი და კლებაზე მუშაობა გვქონდა, თუ გადავაჭარბებდით, გამოეთიშებოდა.

მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლითა და სერთიფიკატით დაბრუნდა, ფულადი პრიზი არ მიუღია. თუმცა, ფედერაცია დაპირდა ყოველთვიურ სტიპენდიას და მალე გადაწყდება რა ოდენობით, ან როდიდან მიიღებს. დედოფლისწყაროს მერიაც დაპირებულ 5000 ლარს ახალ წლამდე აჩუქებს.

ვინაიდან საბა 2020 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, ამის გამო გასულ წელს ეროვნულ ფედერაციაში მიიღეს. მათი ხელშეწყობით შეძლო შეკვეთილისა და ბაკურიანის მოსამზადებელი კურსი გაევლო ფედერაციის დაფინანსებით. ბათუმშიც საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ათამდე ქვეყანა მონაწილეობდა, საბამ ორი უცხოელი მეტოქე დაამარცხა და ფედერაციის ყურადღება მიიქცია. რადგან უცხოელებთან დამაჯერებლად მოიგო, ამით მიეცა შანსი, რომ ქვეყნის გარეთაც, მსოფლიო ჩემპიონატზეც ეცადა ბედი, ამიტომაც შეარჩიეს. ბათუმში ქართველი მოწინააღმდეგეები რომ დაემარცხებინა, ამხელა ეფექტს ვერ აჩვენებდა. მას შემდეგ, რაც საბა საქართველოს ჩემპიონი გახდა, არცერთი წაგება აღარ ჰქონია.

საბას გენეტიკურად მოჰყვება სპორტულობა და სისწრაფე. „კოჭებში“ ეტყობოდა, რომ ბევრს მიაღწევდა. ე.წ. ხიდზე გადასვლას პატარაობიდანვე აკეთებდა. ყველასგან გამორჩეულია და ყველა მონაცემი ხელს უწყობს, რომ დიდი მწვერვალები დაიპყროს. სისწრაფე ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ დარტყმას სისწრაფეც არ ახლავს, ისე შედეგს ვერ დადებ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე და ყველა ბრძოლის წინ ვურეკავდი, რჩევებს ვაძლევდი, ტაქტიკურად როგორ ემოქმედა. ყოველი ბრძოლის შემდეგ ცხადია მქონდა შენიშვნები, მაგრამ არ ვეუბნებოდი და მშობლებსაც ვაფრთხილებდი, ცუდი არაფერი ეთქვათ, რომ ემოციურად მყარად ყოფილიყო. შენიშვნები ჩამოსვლის შემდეგაც არ მიმიცია, ჯერ მინდა დაისვენოს, აღარც ვარჯიშზე დადის. ახალი წლის დღესასწაულების შემდეგ დავჯდებით, ჩემპიონატის ვიდეო ჩანაწერებს ვნახავთ და ერთად გავარჩევთ რა არის გამოსასწორებელი. თვითონაც დაინახავს, რა ვერ გამოუვიდა.

მომავალ წელს ევროპის ჩემპინატი ტარდება, ამისთვის მოვემზადებით, რომ კიდევ მიიღოს მონაწილეობა. მსოფლიო ჩემპიონატი კი აშშ-ში, ამჯერად უფროს ასაკობრივ კატეგორიაში ტარდება.

მამამისმა ჩვენთან პირველად რომ მოიყვანა, ძალიან პატარა , ზედმეტად მორცხვი და მორიდებული იყო, ხმას ვერ ამოაღებინებდი. ნელ-ნელა დაიწყო ვარჯიში. პირველ ეტაპზე ადაპტაციის პროცესი რომ კარგად გაევლო, არაფერს ვავალებდი, სხვა სპორტსმენებს უყურებდა და ამის მიხედვით ვარჯიშობდა. ახლა რომ გადავხედოთ, ვინ იყო და როგორი გახდა საბა, რადიკალურად შეცვლილ სურათს მივიღებთ, დღეს საბა ძალიან თავდაჯერებული, მოტივირებული და ძალიან გაზრდილია“.

ილია მარტყოფლიშვილი



„შირაქის“ სკივრი

1973 WELI

● `ZALIAN GAXSIRDA AXALGAZRDOBIS UMSGAVSO SAQCIELI. SKOLIDAN `ITACEBEN~ MCIREWLOVAN QALISVILEBS, RAC IMAZE MIUTITEBS, ROM OJAXSI DA SKOLEBSI DABALIA ARMZRDELOBITI MUSAOBA. ERT SARAMOS SOFEL WITELWYAROSI SAXLSI MIDIODNEN RUSULI SKOLIS MERVE KLASELEBI ROZA RAJDENIS ASULI TEVONIANI DA LIDA MIKIRTICIS AS. KATIKIANI. GZAZE WAMOEWIAT `MOSKVICI~ (08-41 GAK) MATIVE MEZOBLEBI GURAM DA IOSEB BABAJANIANEBI, ZALIT CASVES LIDA DA GAURKVEVELI MIMARTULEBIT WAVIDNEN. ROGORC KI POLICIAS ECNOBA AMBAVI, SEDGA OPERATIULI JGUFI. DAMNASAVEEBS MIAGNES ZVEL ANAGASI. CAMOARTVES QALISVILI DA CAABARES MSOBELS. DAMNASAVETA MIMART MALE IMSJELEBS SATANADO ORGANO,~ - WERS T. ELIZBARASVILI, SS WITELWYAROS RAIGANYOFILEBIS SISXLIS SAMARTLIS INSPEQTORI.

● BOLO XANS WITELWYAROSI UCVEULO AMINDI DAIWIRA, SAKMAOD ACIVDA DA ZALIAN MOTOVA. XEEBMAVERAR GAUZLO DA BEVRGAN GADATYDA. RAODEN DASANANIA WITELWYAROS RKINIGIS SADGURIS MOEDANZE MDGARI WADARIS MTLIANAD WYOBILEBIDAN GAMOSVLA. WADARI MARTLAC ROM AM ADGILIS MSVENEBA IYO, GANSAKUTREBIT ZAFXULIS CXEL DREEBSI, RADGAN MTLIANAD CRDILAVDA MOEDANS. ABA DRES SEXEDET, GADATEXILI ZIRKVIRA MOSCANS! ROGORC SADGURIS MORIGE MILICIONERMA LEQSO SALVASVILMA GVITXRA, WADARI 1962 WELS, MARTSI DAURGAVT, 12 WLIS NALOLIAVEBI ULAMAZESI WADARI ERT SARAMOS NALEQIS MSXVERPLI GAXDA. SADIYVNEN MORIGEEBI, RATOM ERTXELAC AR GAAXSENDAT, TOVLISGAN DATVIRTULI XE DAEFERTXAT. AMDENI WELIA WIQOBIT USXES WYALI, TITOEULMA RKINIGZELMA GAMOZARDA... AXLA, ROCA YVELA DIDI GULISYURIT EKIDEBA RAIONIS GAMWVANEBA-DAMSVENEBIS SAQMES, ZOGJER UBRALO UYURADREBOBAS DASANANI SEDEGI MOAQVS.

● ZEMO QEDSI MOQALAQE TARIEL SVARIZE UZOMODDATVRA QELEXIS SUFRAZE, SEMDEG MARTAVDA SAKUTARI MOSKVICS DA MOAXDINA AVTOAVARIA. GARDAICVALA ERTI XOLO SXEULIS MZIME DAZIANEBA MIIRO MEOREM. CXADIA SEIZLEBODA AVARIIS TAVIDAN ARIDEBA, TU GVERDITI MJDOMNI AR MISCEMDNEN UFLEBAS NASVAM MDGOMAREOBASI EMARTA MANQANA. AMIT SVARIZEC AICILEBDA 10 WLIAN SASJELS DA GVERDIT MJDOMIC GADAURCEBODA SIKVDILS.

● OBIEQTURI MIZEZITAC KI SAANGARISO KREBASESA TU IS KOMKAVSIRELI ROM AR DAESWROS RAODEN SAMWUXAROA, MIT UFRO ARASAPATIO MIZEZIT. GANARA GADAUDEBELI SAQME HQONDAT KOMBAINER VIQTORIABOVS DA SAMSENEBLO BRIGADIS BRIGADIRS TENGIZ MOLASVILS, ISINI KREBIS DAWYEBAMDE KANTORASI YOFILAN, SEMDEG KI CAM CAYLAPA, TU MIWAM MAT GZAKVALS VERSAD MIAGNES. BINAZEC KI GAUGZAVNES `MXLEBLEBI~, ROM KVLAV DAEPATIJNAT KREBAZE, MAGRAM VIN MOGCA? SAXLSIC AR ARMOCNDNEN. RITI UNDA IMARTLON TAVI? KREBIS UMIZEZOD GACDENA ARAVIS EPATIEBA, MITUMETES V. SAMADUROVS, ROMELIC KOLMEURNEOBIS MOWINAVETA DAFAZEA GAMOKRULI. SURATIA GAMOFENILI, ROGORC MOWINAVE KOMBAINERI, MAGRAM KREBAZE ARINISNA, ROGORC UDISCIPLINO KOMKAVSIRELI. ISIC ITQVA, ROM ZOGIERTI DROULAD AR IXDIS SAWEVRO GADASAXADS.

● ROCA SAXALXO KONTROLI MOIKOWLEBS TAVNEBOBA ICENS TAVS. SAXALXO KONTROLIS JGUFIS WEVREBWLOBIT AR GAMOSULAN ADGILOBRIV RADIOGADACEMEBSI. TAVIANT MUSAOBASI ERTI WERILIC AR GAMOUQVENEBIAT RAIONUL GAZETSI. MARTALIA JGUFMA GAMOAVLINA MARCVLEULIS CANTIT QURDOBIS 4 SEMTXVEVA, MAGRAM BOLOMDE DA PRINCIPULAD AR MIHYVA SAQMES, RATA DAMNASAVETA SAQME AMXANAGUR SASAMARTLOS GAERCIA. PUR PRODUQTEBIS SAREALIZACIO BAZASTAN SEQMNIL SAXALXO KONTROLIS JGUFS ASETI ANGARISI WELS ERTXEL AQVS CABAREBULI. BEVRI NAKLIA, CVENI GAZETIS FURCLEBZE XSIRAD DAWERILA DA REDAQCIA XSIRAD AWYOBS REIDS, MAGRAM KONTROLIS JGUFS MSGAVSI SEMOWMEBA-REIDEBI AR MOUWYVIA. SAWARMOS PARTORGEBS ROM VEKITXEBIT, RAIME WINADADEBA, REKOMENDACIA, AN SENISVNA TU MIURIAT KONTROLIS JGUFISGAN, GVPASUXOBEN, ROM ARAFERI SEMOSULA. ROGORC CANS PARTIULI ORGANIZACIIS DAXMAREBA ZALZE SUSTI DA FORMALURIA.

1975 WELI

● KACI, ROMELIC RVIZLI SVILISATVIS ALIMENTIS GADAXDAS AR KADRULOBS, WITELWYAROS RAIONIS SOFEL ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBASI MEQANIZATORAD MUSOBS. IGI MEURLES GASUL WELS GAEYARA, MCIREWLOVANI SVILI ZURABI KI 1969 WELSAA DABADEBULI. SASAMARTLOM DAADGINA, ROM BAVSVI IZRDEBA DEDASTANONIS RAIONIS SOFEL REBSI. MAMA BORIS LOBJANIZE NEBAYOFLOBIT ARAVITAR MATERIALUR DAXMAREBAS AR UWEVS TAVIS PIRMSOS. DEDAS KI SEMOSAVALI ARAQVS. SASAMARTLOM DADGENILI SAMARTALDARRVEVA ZEMO MACXAANIS KOLMEURNEOBAS ACNOBA. RA UNDA VUTXRATASET MAMAS? CVENEBUR KACS LUKMA GARESETATVISAC ARENANEBA, QARTVELI KACIS GULUXVOBAM SAQVEYNOD HPOVARIAREBA DA AM DROS CVENS RIGEBSI MOIPOVEBIAN ADAMIANEBI, ROMELTAC SAKUTARI STAMOMAVLISTVIS KAPIKEBI SESUREBIAT. ARADA, CXOVELIC AR MIATOVEBS SVILS, SAKVEBIS GARESE.

● AMIERIDAN, JAFARIZIS TBAZE MOSAXLEOBAS MOEMSAXUREBA WYLIS VELOSIPEDEBI DA NICBIANI NAVEBI. AMASTAN SAYOFACXOVREBO MOMSAXUREBIS KOMBINATI QALTASALONSI QALEBS SESTAVAZEBS MANIKURIS MOMSAXUREBAS.

● ZEMO QEDSI, ARXILOSKALOSI DA QVEMO QEDSI CXOVROBEN MKLAVMOURLELI, SROMISMOYVARE, KETILI DA SPETAKI ADAMIANEBI. MAT ARAERTI GAMARJVEBA MOIPOVES SROMIS SXVADASSXVA UBANZE. ES XALXI DILIS SAATEBSI TBILISSI MGZAVROBAS MOKLEBULNI IYVNEN MAGRAM MOTXOVNA XELMZRVANELOBAM YURAD IRO DA GAMOYO AVTOBUSI, ROMELIC SARAMOS MATAREBELS SADGURSI XVDEBODA, XALXI QEDSI MIHYAVDA, DILIT KI MGZAVREBI MATAREBELZE AMOHYAVDA. MOSAXLEOBA KMAYOFILI IYO, RADGAN GAUIOLDAT GADAADGILEBA. IKLO SAMUSAO DREEBIS GACDENAMAC, MAGRAM SIXARULI DIDXANS AR GAGRZELEBULA. AXLA AVTOBUSI MXOLOD SARAMOS MODIS. MGZAVREBI QEDSI CAHYAVS DA MASINVE UKAN BRUNDEBA. DILIT KI MGZAVREBI AVTOBUSS AMAOD ELIANIMEDIA ZEMDGOMEBI QEDEBSI MCXOVREBI 15 000 ADAMIANIS SASARGEBLOD GADAWYVETEN SAKITXS.

● GASULI WLIS 11 DEKEMBERS XANZARI GACNDA QVEMO QEDSI, BARAMASVILIS BINASI. GAMOIZAXES SAXANZRO ZALIAN KARGIA, ROM QVEMO QEDIDAN WITELWYAROSI SETYOBINEBIS DROULAD MIWVDA TELEFONIS XAZIT MOXERXDA. MAGRAM AQVE SAKITXAVIA, RATOM ARXILOSKALOS SAXANZRO RAZMTAN VER SEZLES DAKAVSIREBA? ISINI XOM BEVRAD ADRE MIVIDODNEN ADGILZE? ASE XOM ARAR GANADGURDEBODA MTLIANAD SENOBA DA IQ ARSEBULI QONEBA? IGIVE MOXDA WELS, 14 IANVARS, KVLAV QVEMO QEDSI, CECXLI MEGRELISVILIS BINAS WAEKIDA. SETYOBINEBA KVLAV WITELWYAROSI SEVIDA DA IS KI VERAVIN MOIFIQRA, IQVE GVERDIT SOFELSI, ARXILOSKALOS SAXANZRO NAWILSI DAEREKAT. SIAXLOVIS GAMO ARXILOSKALOS RAZMI BEVRAD OPERATIULAD IMOQMEDEBDA. ASE KI ES ORI OJAXI GAMWARDA. OJAXIS DAUDEVROBIS GARDA ES ARIS KAVSIRGABMULOBIS KVANZIS MUSAKEBIS BRALI, ROMLEBIC QVEMO QEDSI MSAXUROBEN. MTELMA QEDEBIS ZONAM UNDA ICODES, ROM ARXILOSKALOSI ARSEBOBS SAXANZRO RAZMI, JER MAT UNDA MIMARTON DA TU DAMATEBITI ZALEBIA SAWIRO, WITELWYAROSI SEMDEG DAREKON,“ - WERS WITELWYAROS SAXANZRO NAWILIS UFROSI V. BEQAURI.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. დაავადება, რომელიც გამოწვეულია „D“ ვიტამინის ნაკლებობით და დამახასიათებელია ძვლების გაღუნვა 2. რის კანს ჰქვია ცედრა 3. პენალტი ჰოკეიში 4. რა მოვლენაა ფატა-მორგანა 5. დაწმენდილი ნატეხი შაქარი 6. ალპური ყვავილი 7. კომპოზიტორი ია კარგარეთელის სრული სახელი 12. მელვილი. „... დიკი“ 13. საჭადრაკო პარტიის დებიუტი: ... დაცვა 14. თეატრის პერსონალი, რომელიც ქეჩით ამოგებულ ორმოში ზის სცენის წინ 15. უძველესი არამეული ქალაქი სირიაში 16. სიტყვის ნაწილი ნიშნავს საწინააღმდეგოს 19. მანძილი, რომელიც ჰერაკლემ ერთ ჩასუნთქვაზე გაირბინა. ეს მანძილი დღეს სტადიონის ერთ წრეს წარმოადგენს 21.რომელი რეპტილიებით არის ცნობილი კომოდოს კუნძული 22. ამერიკელი როკ-შემსრულებელი პოლ ... 28. გამის ნოტი, რომლის ჟღერადობის მიხედვითაც ორკესტრის ინსტრუმენტებს აწყობენ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. რომელი ქალაქიდან შემოჰქონდათ სახლის გადასახურავი მასალა გემებით, რომელთა დაცლის შემდეგ საქართველოდან მანგანუმის მადანი გაჰქონდათ 8. რა მასალა შეცვალეს პერგამენტით 9. ტილო „სიქსტის მადონა“. ავტორი 10.. 1956 წელს იაპონელი არქიტექტორის კენძო ტანკეს პროექტით გაიხსნა „მშვიდობის პარკი“. რომელ ქალაქშია ეს პარკი 11. ტბა შვეიცარიაში - ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტბა დას. ევროპაში 12. ჩრდ. ამერიკის ძირითადი წყალშემკრები მდინარე 17. ... ბროუდი ფილმში „პიანისტი“ 18. კალიგულა - ინციტატუსი, დონ კიხოტი - როსინანტი, ალექსანდრე მაკედონელი - ... 20. რას უწოდებენ ახალზელანდიელები თავიანთ თავს 22. ალექსანდრე მეტრეველი - ჩოგბურთელი, ომარ ფხაკაძე - ველოსიპედისტი, მიხეილ ხერგიანი - ... 23. იანის საპირისპირო ცნება 24. ჰერაკლეს მეშვიდე გმირობა „კრეტას ...“ 25. რასისტული ორგანიზაცია ...-კლუქს-კლანი 26. სახელმწიფო აფრიკაში 27. მოწითალო ფერის პლანეტა, სადაც თვეების განმავლობაში ქარიშხალები მძვინვარებს 28. მდინარე ციმბირში. ერთვის ლაპტევების ზღვას 29. მთა თბილისში. მისი სახელი გაიშიფრება როგორც „მეხთა ადგილი“

გახსენება

თეიმურაზ (ზამთარა) ზამთრეული



40 დღე გავიდა 19 დეკემბერს რაც დაგვტოვე და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. დატოვე თვალცრემლიანი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები. წახვედი შენს ხუთი წლის უნახავ და მონატრებულ შვილიშვილ - გიორგისთან. სულ მის გზას გაჰყურებდი. ალბათ, იქ ჩაიხუტებდი ამდენი ხნის უნახავს და მოესიყვარულებოდი. თემო, შენ ხომ ძალიან კეთილი და უბოროტო ადამიანი იყავი. ყველგან და ყველასთან სიკეთეს თესავდი. ძალიან ძნელია და მიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი.ადამიანზე, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული ოჯახზე და ახლობლებზე. ძალიან გაუსაძლისია ჩემო თემო შენი სიკვდილი და ჩვენთან განშორება. ჩემთვის ყველაფერი გაქრა და წაიშალა. მთელი შენი შეგნებული ცხოვრება მძღოლად იმუშავე. სადაც გითენდებოდა იქ გიღამდებოდა, რეისავიკ „ზამთარას“ გეძახოდნენ. მაგრამ უკურნებულმა სენმა ორთვიან ბრძოლაში დაგვამარცხა. ბევრი იბრძოლეს შენმა შვილებმა, არაფერი დაგაკლეს, მაგრამ დავმარცხდით და ვერ შეგინარჩუნეთ სიცოცხლე. ამ ქვეყნიდან სწორედ მაშინ წახვედი, როდესაც უნდა გაგეხარა შვილებში, შვილიშვილებში და შვილთაშვილებში. უზომოდ მენატრები, თვალცრემლიანი გავყურებ გზას იმ იმედით, რომ „რეისში“ ხარ და დაბრუნდები, როგორც მთელი 39 წელი გელოდებოდი.

ნათელში იყავი ჩემო მონატრებულო თემო, კარგო და მოსიყვარულე მეუღლევ, მამავ და პაპავ. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შენი შვილი, ვაჟკაცი თეიმურაზი გააგრძელებს შენს სახელს და გვარს. იძინე მშვიდად, ჩემო თემო, ჩემო „ზიმა“. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი უბედური მეუღლე ნაირა თეიმურაზოვი,
შვილები და შვილიშვილები.

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკოლოზ (ლომსაძე) და მრევლი იუწყებიან

ᲔᲗᲔᲠ ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ახლობლებს.

რატომ ვაცხობთ ლობიანებს ბარბაროზის დღესასწაულზე?

ბარბაროზის დღესასწაულზე ბევრი აცხობს ლობიანებს. მაინც რატომ გვაქვს წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე ლობიანის მომზადების ტრადიცია?

ამაზე სასულიერო პირები ასე პასუხობენ: ქრისტიანობისთვის დღესასწაულებთან დაკავშირებით რიტუალურად რაიმე სახის საზრდოს მომზადება, შეწირვა უცხოა. იშვიათი გამონაკლისი ძველი მსოფლიოს თვალთახედვიდან გამომდინარე, სიმბოლური დატვირთვით გვხვდება: პური, ღვინო, თევზი და წითელი კვერცხი. საზრდოს შეწირვა წარმართული რელიგიებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართულ წარმართულ პანთეონში აქტიური ადგილი ეკავა მზის ღვთაებას და მის დედას აისს—ბარბალეს. მათდამი პატივსაცემად დღესასწაულზე აცხობდნენ მზის დისკოს ფორმის ღვეზელებს. ღვთაების მდედრობითი სქესისა და სახელთა დიდი მსგავსების გამო, რიგითი მორწმუნეების გარკვეულ ნაწილში მოხდა ორი სუბიექტის გაიგივება—აღრევა. ხაზგასმით აღინიშნება, რომ ეს არ იყო საეკლესიო სწავლება. მან ნელ-ნელა ხალხში გავრცელება ჰპოვა. ეს მხოლოდ საქართველოში მოხდა. ამგვარი რენესანსები გაუთვითცნობიერების ნაყოფი იყო. წარმართობის გაღვიძება სულიერი და კულტურული ჩავარდნის ეპოქაში ხდებოდა. გაიგივების გამო წმ. ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულზე აცხობდნენ ბარბალესადმი მიძღვნილ ღვეზელებს.

კალენდარულად ერთი ფაქტორიც მოქმედებდა. ბარბალეს დღესასწული წელიწადში ორჯერ აღინიშნებოდა — მზის ბუდობის წინ, მზის ღვთაების შობამდე. მზის—ლილეს შობას ზეიმობდნენ იულიუსის კალენდრით 25 ივნისსა და 25 დეკემბერს. ვინაიდან ქალწულმოწამე ბარბარეს ხსენება აღინიშნება შობის მარხვაში, ხალხური მოქმედება ქრისტიანულ ჭრილში გატარდა და ღვეზელი სამარხვო მზადდებოდა. მოგვიანებით ამერიკის კონტინენტიდან ახალი კულტურული ჯიშების აქტიურმა პოპულაციამ ჩვენშიც ასახვა პოვა. ღვეზელის შემადგენლობაში ლობიომ დაიკვიდრა. ლობიანის ცხობა წმ. ბარბარეს დღეს წარმართულია. მეტი განმარტებისთვის: ლობიანის გამოცხობა და მიღება ყოველთვის შეიძლება, მაგრამ წმიდა ბარბარესთან არაფერ კავშირშია.”

შეგახსენებთ, წმიდა დიდმოწამე ბარბარე მართლმადიდებლობისთვის მეოთხე საუკუნის დასაწყისში, მმართველ მარკიანეს დროს ეწამა. ამჟამად მისი წმიდა ნაწილები კიევში, ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარშია დასვენებული და მათგან მრავალი სასწაული აღესრულება. წმიდა დიდმოწამე ბარბარე ბავშვების მფარველად ითვლება. მას ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის.

„არასოდეს გამიყიდია ჩემი ნახატები“



ეს შემოქმედი ახალგაზრდა „შირაქის“ მკითხველმა რამდენიმე წლის წინ გაიცნო, როცა დედოფლისწყაროში სკოლა დაამთავრა და 100%-იანი დაფინანსებით სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა. როგორ განვითარდა მისი ცხოვრება, ამის გასარკვევად თაზო ლაპიაშვილს ვესტუმრეთ და მისი სამომავლო გეგმებით დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ ხატვის გარდა ის ძერწვასა და საიუველირეო საქმიანობასაც მისდევს და მიაჩნია, რომ ეს უფრო მოთხოვნადი და შემოსავლიანია.

თაზო ლაპიაშვილი: „რაც თავი მახსოვს, როგორც კი ფანქრის ჭერა ვისწავლე, მაშინვე ვხატავდი. ყოველთვის მიყვარდა და მომწონდა ხატვა, ძერწვა და შემოქმედებითი საქმიანობა. ნელ-ნელა მივხვდი, რომ კარგად გამომდიოდა, ნიჭი მქონდა და შემეძლო განვითარება. ამიტომაც სულ მინდოდა პროფესიული კუთხით მივდგომოდი ამ საქმეს, ჩემი პროფესია გამხდარიყო.

– რამ იქონია გავლენა, შენს შემთხვევაში რა გახდა ინსპირაციის წყარო?

– რომელიმე მხატვარს არ მოუხდენია ჩემზე გავლენა, რაიმე ფაქტორს ვერ ვიხსენებ. ეს უფრო ჩემი თავისუფალი უნარები იყო, რომელიც გამოვავლინე. წლების შემდეგ, როცა უკვე პროფესიულად ვსწავლობდი, გაჩნდნენ ფავორიტი მხატვრები, იყო მომენტები, როცა მინდოდა მათსავით მეხატა.



ბავშვობიდან მუდმივად მაქებდნენ და მახსენებენ, რომ როგორც ფარნაოზ ლაპიაშვილის შთამომავალი, ბევრს მივაღწევდი. ეს დიდი სტიმული იყო.

მთელი ბავშვობა ჩაბეჭდილი მქონდა, რომ ამ სფეროში უნდა ვყოფილიყავი. ყოველთვის მიყვარდა და ეს სიყვარული უფრო ღრმავდებოდა. არ მახსენდება რაიმე კონკრეტული ფაქტორი, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ჩემს ამ ინტერესსა და პროფესიულ არჩევანზე. ეტაპობრივად მივდიოდი აქეთკენ და ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდი. როცა სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, მერე უკვე გავიგე გემო, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, დავრწმუნდი, რომ სხვა სფეროში ვერ წავიდოდი. სტუდენტობისას, დამატებითი შემოსავლის გამო ბევრ სფეროში მიცდია მუშაობა, მაგრამ ვერსად გავჩერდი. მერჩივნა დრო ისევ საყვარელი საქმისთვის და პროფესიული განვითარებისთვის დამეთმო. ეს კი ჩემთვის მატერიალურ შემოსავალზე ბევრად მნიშვნელოვანია.

ცნობილი თეატრალური და სახალხო მხატვარი, მრავალი ჯილდოს მფლობელი ფარნაოზ ლაპიაშვილი, (მისი გაფორმებულია კინოფილმები „ქეთო და კოტე“, „ცისკარა“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“, ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“, შილერის „დონ კარლოსი“, ვაჟაფშაველას „მოკვეთილი“, ვერდის „ოტელო“, მინკუსის „დონ კიხოტი“, თაქთაქიშვილის „მინდია“ და მრავალი სხვა) რომელიც მირზაანში დაიბადა ჩემი დიდი პაპა იყო, მისი შვილი აკადემიაში ჩემი ხელმძღვანელი იყო და ძალიან კარგი ურთერთობა მაქვს. შესაძლოა ეს ყველაფერი გენეტიკურიც იყოს.

– მხატვარს ყოველთვის შეუძლია ხატოს, თუ მუზებისა და განწყობების მიხედვით?

– ყოველთვის ვერიდები, ჩემს თავს მხატვარი ვუწოდო, მხატვრობა ჩემთვის არის რელაქსი და საოცარი სიამოვნებაა. იმ ემოციებისა და გრძნობების გადმოცემა, რასაც იმ მომენტში ვგრძნობ. ყოფილა შემთხვევები, როცა მუზა მომსვლია და რაღაც ღირებული შემიქმნია. ასევე არის პერიოდები, როცა არ გინდა ხატვა, ან არ გაქვს ის ემოციური განწყობა. მშვიდ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება შემოქმედებითად მიუდგე და მოინდომო, ბევრი ეცადო, მაგრამ თუ არ გაქვს განწყობა და რაიმე ხელისშემშლელი გარემოებაა, ისეთი არ გამოდის, რა ჩანაფიქრიც იყო, ძალით არაფერი გამოვა.

– მხატვრობა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებშემოსავლიან პროფესიად ითვლება...

– რაც შეეხება შემოსავალს, არასოდეს არ მიცდია შემოსავალზე მეფიქრა. შემოთავაზებებიც ხშირად მქონია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არცერთი ჩემი ნამუშევარი არ გამიყიდია, უფრო გამიჩუქებია... 2015 წელს სამხატვრო აკადემიაში დავამთავრე დიზაინის განხრით, საიუველირეო საქმე, მინანქარი, ლითონის დეკორატიული პლასტიკა. უფრო ამ კუთხით დავიწყე მუშაობა. ჭედურობას ვაკეთებდი, ლითონსა და ხეში ვმუშაობდი. ორი წელია მაგისტრატურაც დავამთავრე, სადაც ასევე უფასოდ ვისწავლე, 100%-იანი გრანტი მოვიპოვე. ეს შედეგი ცოცხალი ნატურის ხატვით მოვიპოვე, 30 მსურველში ქულებით მეორე ადგილზე გავედი. ჩემი აზრით, ფერწერასა და გრაფიკასთან შედარებით საიუველირო საქმე დღეს უფრო მოთხოვნადია, ამიტომ ამ განხრით წავედი. ჩემთვის მხატვრობა უფრო ნაკლებშემოსავლიანია, ვიდრე სამკაულები. ჩემს მეულლესაც შევასწავლე მინანქარზე მუშაობა და დღეს ისიც შესანიშნავ სამკაულებს ამზადებს. ერთად ვმუშაობთ და ერთობლივი ძალებით ვამზადებთ ნაკეთობებს.

– ბოლო წლებში პედაგოგობასთან ერთად სახელოსნოს ამოქმედებაც შეითავსე...

– 2019 წლიდან ვარ ხელოვნების მასწავლებელი თბილისის 174-ე სკოლაში. ბავშვებს ხშირად ვუხატავდი დაფაზე საინტერესო ნახატებს, იმდენად მოსწონდათ, რომ მათი მხრიდან გაჩნდა ინტერესი, ხომ არ მქონდა სტუდია, სადაც ბავშვებს მივიღებდი. ეს ყოველთვის მინდოდა და რამდენიმე წლის წინ მუხიანში სახელოსნო გავხსენი, თუმცა მალევე პანდემია დაიწყო და ხშირად ვკეტავდი. თუმცა, გავუძელით ამ რთულ პერიოდს, ახლაც ვმუშაობთ და გვყავს მოსწავლეები. გვაქვს საინტერესო გაკვეთილები. ეს ყველაფერი ჩემთვის შემოსავლის წყაროც არის, განტვირთვის საუკეთესო საშუალებაც, შემოქმედებითი წვის ადგილიც და ბავშვების ემოციებიც ძალიან გვავსებს. დიდ ენერგიას მაძლევენ ბავშვები. ვცდილობთ, ყოველდღიურად განვითარდეთ. შეიძლება მასწავლებლობაც მთელი ცხოვრება გავაგრძელო, რადგან იმდენად დიდი პოზიტივი შემოაქვს, ყველანაირ ყოფით პრობლემას და ნეგატივს მავიწყებენ. მიმაჩნია, რომ ჩემი თავი ვიპოვნე, მივხვდი, რომ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. ჩემთვის სხვა ბედნიერება არ არსებობს, არანაირ ფუფუნებას არ აქვს ფასი.

ილია მარტყოფლიშვილი

2023 შავი კურდღლის წელია



– რა უნდა გავაკეთოთ, რომ სწორად აღვნიშნოთ 2023 წლის შემოსვლა? პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ სახლი ზედმეტი, ძველი ნივთებისაგან გაათავისუფლოთ. კურდღელი მეოჯახე ნიშანია, ამიტომაც უყვარს, როცა სახლში სიმყუდროვე და ჰარმონიაა. ასტროლოგები გირჩევენ, რომ ახალი წლის დღეს დასუფთავება არ დაიწყოთ.

ეს საქმე წინა დღეებში მოაგვარეთ. ჩინური ტრადიციის თანახმად, ახალ წელს დასუფთავება დაუშვებელია, რადგან ეს სიმდიდრისა და იღბლის სახლიდან გატანის სიმბოლოა. ბავშვებმა შესაძლოა, ქაღალდისგან კურდღელი გამოჭრან და სხვადასხვა ადგილზე განათავსონ. სჯობს, ეს წელი სახლში, ოჯახურ გარემოში აღნიშნოთ. კურდღელს, სახლის გარემო განსაკუთრებულად უყვარს, ამიტომაც თქვენც შეძლებთ, წარმატება მოიზიდოთ. მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარად, ამ დღეს მთელი ოჯახი სადღესასწაულო მაგიდასთან შეიკრიბოს. მოირგეთ წლის მთავარი ფერები და ისე შეხვდით ახალ წელს. მაგალითად, შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი, თეთრი, ცისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი სამოსი. განსაკუთრებით პოპულარულია ბრჭყვიალებიანი და ბეწვიან-ბუმბულიანი ელემენტები. ასტროლოგების თქმით, თუ გსურთ, მომდევნო წელი თქვენთვის წარმატებული იყოს, ოთახში, სადაც ახალი წლის შემოსვლას აღნიშნავთ, ბევრი ხის ნივთი უნდა გქონდეთ. გახსოვდეთ, სუფრაზე კურდღლის ხორცი არ უნდა გქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წლის მთავარ სიმბოლოს გაანაწყენებთ. კურდღელს განსაკუთრებით გამოყენებადი და საჭირო ნივთების ჩუქება უყვარს. ამიტომაც, თუ საყვარელი ადამიანისათვის საჩუქარს ეძებთ, ამ მიმართულებით იხელმძღვანელეთ.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 19.12		სამშაბათი 20.12		ოთხშაბათი 21.12		ხუთშაბათი 22.12		პარასკევი 23.12		შაბათი 24.12		კვირა 25.12	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	9°	1°	3°	−2°	1°	−4°	2°	−3°	3°	-2°	4°	-3°	4°	-3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი